პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 134 (12950) | ოთხშაბათი, 10 ივნისი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

დღეს ჩვენს ნომერშია:

- მეგობრული ვიზიტით ჩვენს ქვეყანაში
- მოსავალი ავიღოთ თორმეტ სამუშაო დღეში
- ღია წერილი კომბაინერებს
- იდეური, მაღალხარისხოვანი წიგნისათვის
- მსოფლიო ამ დღეებში

შვიდწლედის ვახტზე

თბილისის საშენ მასალათა კომბინატმა (დირექტორი ი. ინგოროყვა) ხუთი თვის საერთო პროდუქციის გამოშვების დავალება 107,6 პროცენტით შეასრულა. აღნიშნული ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით აამაღლეს 3,7 პროცენტით, ხოლო გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება შეამცირეს 3.600 მანეთით.

კომბინატში დაწინაურდა და კომუნისტური შრომის შუქურა გახდა წითელი თიხის კერამიკული ნაწარმის საამქრო (უფროსი ი. ცერიაშვილი). აქ 114,2 პროცენტით გაანაღდეს ხუთი თვის დავალება. ასევე წარმატებით მუშაობს ფაიფურის მხატვრული ნაწარმის საამქრო (უფროსი ლ. მოსულიშვილი). კერამიკოსებმა ხუთი თვის დავალება 115,5 პროცენტით გაანაღდეს და მომხმარებელს დიდძალი ძვირფასი ნაწარმი მიაწოდეს. აგურის წარმოებაში დაწინაურდნენ ღრმაღელის და საბურთალოს აგურის გამოწვის საამქროები, რომლებსაც უნარიანად თავკაცობენ ვ. გიგინეიშვილი და ლ. ცხომელიძე.

რუსთავი. ამ დღეებში კომუნისტური შრომის კოლექტივის საპატიო სახელი მოიხვეჭა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სამანქანო საამქროს კოლექტივმა. უკანასკნელ პერიოდში საამქრო გეგმას ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლით ასრულებს. წელს ოთხ თვეში აქ ელექტროენერგიის გამომუშავების სადისპეტჩერო გეგმა 109,4 პროცენტით შეასრულეს, მომხმარებლისათვის ორთქლის მიწოდებისა — 129 პროცენტით, ხოლო საბრძმედე საამქროსათვის კირის მიწოდებისა — 123,3 პროცენტით. ამასთან საამქროს კოლექტივი დიდ ყურადღებას აქცევს საკუთარი მოხმარებისათვის ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვას. ქვანახშირის ეკონომიამ 3.990,5 ტონას მიაღწია.

საამქროში ჯეროვანი ყურადღება ეთმობა აგრეთვე ტექნიკურ პროგრესს, მოწყობილობის უკეთ გამოყენებას.

შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებით განსაკუთრებით გამოირჩევიან საამქროს ცვლის უფროსი გ. ჯაგაშვილი, უფროსი მემანქანე ყ. ძნელაშვილი, მემანქანეები ი. სერდამინოვი და ი. ოსკანოვი.

ბ. ჯანუა.

ქუთაისი. (საკ. კორ.). ასუფანის მაღლივი კაშხალის მშენებლობაზე ჩინებულად ჩაბარეს გამოცდა „ატნ-10“ მარკის წყალსატუმბავებმა, რომლებსაც ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხანა ამზადებს; მარტო შარშან არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში 26 მძლავრი წყალსატუმბავი გაიგზავნა.

ქუთაისური წყალსატუმბავები და საშახტო ელმავლები, აგრეთვე სათადარიგო ნაწილები გაიგზავნა წელს ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთში, რუმინეთში, მონღოლეთში, ვიეტნამში, კუბაში, სირიაში და სხვ.

ეროვნული ფასთა

მეგობრობის ვითარებაში

ნ. ს. ხრუშჩოვისა და ი. ბროზ ტიტოს საუბარი

ლენინგრადი, 8 ივნისი. (საკადესი). დღეს აქ ერთმანეთს შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი და იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის გენერალური მდივანი, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი ი. ბროზ ტიტო, რომელიც ლენინგრადში იმყოფება მეგობრული არაოფიციალური ვიზიტით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით.

გაიმართა ხანგრძლივი საუბარი, რომლის დროს ამხანაგებმა ნ. ს. ხრუშჩოვმა და ი. ბროზ ტიტომ ერთმანეთს გაუზიარეს აზრები ფართო წრის საკითხებზე, რომლებიც საინტერესოა იუგოსლავიისა და სსრ კავშირისათვის. ორივე მხარემ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ურთიერთობა წარმატებით ვითარდება პოლიტიკურ, ეკონომიურ, კულტურულ და სხვა დარგებში, განიხილა იმის შესაძლებლობა, რომ კიდევ უფრო განმტკიცდეს მეგობრული ურთიერთობა და გაფართოვდეს ყოველმხრივი თანამშრომლობა საბჭოთა კავშირსა და იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ორივე ქვეყნის ხალხთა ინტერესებისათვის.

საერთაშორისო საკითხებზე აზრთა ურთიერთგაზიარების მსვლელობაში მხარეებმა კვლავ დაადასტურეს, რომ ერთნაირი შეხედულებანი აქვთ თანამედროვეობის მთავარ პრობლემებზე და ერთგულად იცავენ სხვადასხვა სოციალიური სისტემების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებს, რაც სსრ კავშირისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის გენერალური ხაზია.

ამხანაგებმა ნ. ს. ხრუშჩოვმა და ი. ბროზ ტიტომ განიხილეს საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის აქტუალური საკითხები, რადგან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მებრძოლი მთელი პროგრესული ძალების შეკავშირებას, მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საჭიროა ოვითეულმა კომუნისტურმა და მუშათა პარტიამ თავისი წვლილი შეიტანოს იმ საქმეში, რომ გადალახონ მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობაში წარმოშობილი სიძნელენი და მიაღწიონ მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების ერთიანობასა და შეკავშირებას მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების საფუძველზე მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის, კაცობრობის სასიცოცხლო ინტერესებისათვის.

საუბარში ორივე მხარემ აღნიშნა, რომ სსრ კავშირისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ყოველმხრივი თანამშრომლობა შეესაბამება საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ხალხთა ძირეულ ინტერესებს და ხელს უწყობს მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმეს მთელ მსოფლიოში. საბჭოთა კავშირსა და იუგოსლავიას მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კვლავაც იარონ ამ ნაყოფიერი გზით.

საუბარში, რომელიც ძმური მეგობრობის, გულწრფელი ურთიერთგაგებისა და გულითადობის ვითარებაში მიმდინარეობდა, იუგოსლავიის მხრივ მონაწილეობას იღებდნენ იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრი, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანი კოჩა პოპოვიჩი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრი, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ივეტინ მიატოვიჩი და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის გენერალური მდივანი ბოგდან ცრნობრნია; საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი ვ. ს. ტოლსტიკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი გ. ი. პოპოვი, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი გ. ი. კოზლოვი.

იოსიპ ბროზ ტიტოს გამგზავრება

ლენინგრადი. 9 ივნისი. (საკადესი). დღეს აქედან სამშობლოში გაემგზავრა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის გენერალური მდივანი, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი იოსიპ ბროზ ტიტო. იგი მეგობრული არაოფიციალური ვიზიტით იყო ლენინგრადში სსკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ნ. ს. ხრუშჩოვისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით.

აეროდრომზე ი. ბროზ ტიტო, მისი მეუღლე და პრეზიდენტის თანმხლები პირნი გაეცალნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა, ქალაქ ლენინგრადის, ლენინგრადის ოლქის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, მშრომელთა მრავალმა წარმომადგენელმა.

პრეზიდენტმა ტიტომ გულითადი მადლობა გამოთქვა მხურვალე შეხვედრისათვის, რაც მას და მის თანამგზავრებს მოუწყეს ლენინის ქალაქში. პრეზიდენტმა ტიტომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისმა საუბარმა ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვთან ფრიად წარმატებით ჩაიარა.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა აგრეთვე აღნიშნა, რომ მოლაპარაკება ნაყოფიერი იყო. მან ბედნიერი მგზავრობა უსურვა სტუმრებს, სთხოვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, ყველა საბჭოთა ადამიანის სახელით სალამი გადასცენ იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირს, იუგოსლავიის მთავრობასა და მის ხალხს.

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი ლენინგრადიდან გაემგზავრა

ლენინგრადი, 9 ივნისი. (საკადესი). დღეს ლენინგრადიდან მოსკოვს გაემგზავრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი.

მოსკოვის გაგზავრში ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი გააცილეს სკკპ ლენინგრადის სამრეწველო საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ს. ტოლსტიკოვმა, სკკპ ლენინგრადის სასოფლო საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ი. კოზლოვმა, ლენინგრადის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალმა არმიის გენერალმა მ. ი. კაზაკოვმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი მოსკოვს დაბრუნდა

ლენინგრადში ყოფნის შემდეგ 9 ივნისს საღამოს მოსკოვში დაბრუნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი.

ლენინგრადის ვოგზალში ნ. ს. ხრუშჩოვს შეხვდნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. მიქოიანი, ნ. ვ. პოდგორნი, ვ. ვ. გრიშინი, ლ. ნ. ეფრემოვი, ვ. პ. მჟავანაძე, ი. ვ. ანდროპოვი, ვ. ი. პოლიაკოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, ა. ნ. შელეპინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ვ. სემიჩასტნი. (საკადესი).

მოსავალი ავიღოთ თორმეტ სამუშაო დღეში!

ყვარლის საწარმოო სამმართველოს ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კომბაინერის ზაალ სუხიტაშვილის ღია წერილი საქართველოს ყველა კომბაინერისადმი

ძვირფასო ამხანაგებო! ჩემო თანამოსაქმენო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადწყვეტილებებმა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის ახალი გზები დასახა. ეს არის სიუხვის, წინსვლის გზა. მინერალურმა სასუქებმა თავთავიანი კულტურებიც გაახარა. ჰერბიციდებმა სარეველები აღგავეს პირისაგან მიწისა. სრულყოფილად გამოვლინდა ქიმიის დიდი სიკეთე. ალაზნის ველზე მოსავალს კარგი პირი უჩანს. თავთავიანები სიმწიფეში შევიდა, ზოგან ქერის ყანები უკვე გაიჭრა.

უხვი მოსავალი მინდორში ჯერ კიდევ ბევრს არაფერს ნიშნავს, მთავარია იგი ბეღელში იყოს. ჩვენს მხვნელ-მთესველებს, მექანიზატორებს კარგად ესმით, რომ მოსავლის აღება ყველაზე პასუხსაგები პერიოდია. მკის დაჩქარება მარცვლეულს ამრავლებს, დაგვიანება დანაკარგს ზრდის.

წელს ამინდიც ჭირვეულობს. ეს განსაკუთრებით ჩვენ, მექანიზატორებს დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს. საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ ხელსაყრელი არცერთი წუთი უქმად არ დაიკარგოს. ავწონ-დავწონე შესაძლებლობანი და გადავწყვიტე — მოგმართოთ ღია წერილით, რათა ჩავებათ სოციალისტურ შეჯიბრებაში და მოსავალი ავიღოთ 12 სამუშაო დღეში.

ჩემი ვალდებულება ასეთია:

1. კომბაინის აბრეშატის მუშაობას მოვაწყობ ორ ცვლად;
2. თვითმავალი კომბაინით გეგმით გათვალისწინებული 120 ჰექტარის ნაცვლად 12 სამუშაო დღეში მოვმკი ორას ჰექტარს, ყოველდღიურად გავლეწავ 350-400 ცენტნერ ხორბალს;
3. მთლიანად აღვკვეთ როგორც თავთავის, ისე მარცვლის დანაკარგს;
4. საწვავ-საცხებ მასალებს დავზოგავ 10 პროცენტით;
5. პირუტყვისათვის საკვების უხვად დამზადების მიზნით და იმისათვის, რომ ნაკვეთებს გაწმენდა არ დასჭირდეს, კურეულს მოვმკი სულ დაბლა, ძირში.
6. შარშანდელთან შედარებით 20 პროცენტით გავაიაფებ ყოველი ცენტნერი ხორბლის გალეწვის თვითღირებულებას.

ამხანაგო კომბაინერებო!? ვიღებ რა ამ ვალდებულებებს, მოგიწოდებთ ჩაებათ სოციალისტურ შეჯიბრებაში და მიაღწიოთ პურეულის მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებას. მოველით თქვენგან პატრიოტულ მხარდაჭერას.

ახალი წარმატებებით გავახაროთ ჩვენი სამშობლო. კვლავაც ვისახელოთ თავი მარცვლეულის წარმოების მკვეთრად გადიდებისათვის ბრძოლაში. პირნათლად შევასრულოთ ნაკისრი ვალდებულებანი. დავიპყროთ ახალი ზღუდეები მარცვლეულის წარმოების ფრონტზე.

ზაალ სუხიტაშვილი,
ყვარლის საწარმოო სამმართველოს ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კომბაინერი.

გულითადი მილოცვა

მოსკოვი, 9 ივნისი. (საკადესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა ინდოეთის პრემიერ-მინისტრს ლალ ბაჰადურ შასტრის გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც მეგობრულად, გულითადად ულოცავს ინდოეთის პრემიერ-მინისტრის მაღალი პოსტის დაკავებას. ნ. ს. ხრუშჩოვი სწერს: დიდი კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ ჯავაჰარლალ ნერუს უახლოესი თანამებრძოლები, როშელთა შორის თქვენ, ბ-ნო პრემიერ-მინისტრო, თვალსაჩინო ადგილი გიკავიათ, და ინდოეთის მთავრობა ისწრაფვით განახორციელოთ პოლიტიკა, რომელსაც იცავდა განსვენებული პრემიერ-მინისტრი, ვინც ესოდენ ბევრი რამ გააკეთა ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხების მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებისათვის!

ნ. ს. ხრუშჩოვი ლალ ბაჰადურ შასტრის უსურვებს წარმატებებს კეთილშობილურ მოღვაწეობაში ინდოელი ხალხის საკეთილდღეოდ, მთელ მსოფლიოში მშვიდობის საკეთილდღეოდ.

უკეთ გამოვიყენოთ კინო აღმოზრდელობითის მუშაობაში

საკავშირო პროფსაბჭოში

საბჭოთა კავშირის პროფკავშირული ორგანიზაციები და მათი კულტურული დაწესებულებანი აუმჯობესებენ მუშების, მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრების კინომომსახურებას. მარტო გასულ წელს ამუშავდა დაახლოებით 1.200 ახალი კინოდანადგარი შენობებში, რომლებიც გათვალისწინებულია 265 ათასი მაყურებლისათვის.

ეს მონაცემები მოიყვანეს საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე, რომელშაც განიხილა მოსახლეობის კინომომსახურების გაუმჯობესების საკითხი.

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ კინოს დიდი შესაძლებლობანი აღმზრდელობითსა და კულტურულ-მასობრივ მუშაობაში ჯერ კიდევ ყველგან სათანადოდ როდია გამოყენებული. განსაკუთრებით ცუდად არის ეს საქმე მოწყობილი ტაჯიკეთის, თურქმენეთისა და უზბეკეთის რესპუბლიკების პროფკავშირულ ორგანიზაციებში.

მეცნიერულ-პოპულარულ და დოკუმენტურ-ქრონიკალურ ფილმებს ცუდად იყენებენ ტექნიკური, სასოფლო-სამეურნეო ცოდნისა და მოწინავე გამოცდილების გავრცელებაში, სალექციო პროპაგანდაში. ბევრი პროფკავშირული ორგანიზაცია არ ზრუნავს ბავშვთა, აგრეთვე ზაფხულის პერიოდში მშრომელთა დასვენების ადგილებში კინომომსახურებისათვის.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა პროფკავშირთა რესპუბლიკურ, სამხარეო, საოლქო საბჭოებსა და კომიტეტებს, კლუბებისა და კულტურის სასახლეების გამგეობებს უფრო ფართოდ გამოიყენონ კინო მშრომელთა აღმზრდელობითს მუშაობაში. (საკადესი).

რუმინეთის მუშათა პარტიის პარტიულ მუშაკთა დელეგაცია საბჭოთა კავშირში

7 ივნისს რუმინეთის მუშათა პარტიის პარტიულ მუშაკთა დელეგაცია რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, ცენტრალური კომიტეტის მდივნის ყოვლისეულ მეთაურობით მოსკოვს დაბრუნდა საბჭოთა კავშირში მოგზაურობიდან. დელეგაცია იყო კუიბიშევში, ვოლგოგრადსა და ლენინგრადში, სადაც გაეცნო მანქანათმშენებლობისა და ნავთობქიმიის დარგის ეკონომიკისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გამოცდილებას. 8 ივნისს რუმინელი ამხანაგები სკკპ ცენტრალური კომიტეტის პარტიული ორგანოების განყოფილებაში ესაუბრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ვ. ნ. ტიტოვს.

იმავე დღეს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა სადილი გამართა დელეგაციის პატივსაცემად. საბჭოთა კავშირის მხრივ სადილზე იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი, მ. ა. სუსლოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები ი. ვ. ანდროპოვი და ვ. ნ. ტიტოვი.

ამის შემდეგ სკკპ ცენტრალურ კომიტეტში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ა. ი. მიქოიანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ვ. პოდგორნი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ვ. ანდროპოვი ესაუბრნენ ამხ. კიეუ სტოიკასა და სხვა რუმინელ ამხანაგებს. საუბრის დროს, რომელიც მიმდინარეობდა მეგობრობისა და ურთიერთგაგების სულისკვეთებით, ერთმანეთს გაუზიარეს აზრი ორივე პარტიისათვის საინტერესო საკითხებზე.

საღამოს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მოსკოვის საელჩომ გამართა დარბაზობა იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირში იმყოფება რუმინეთის პარტიულ მუშაკთა დელეგაცია. საბჭოთა კავშირის მხრივ დარბაზობაზე იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები, ცენტრალური კომიტეტის მდივნები, ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. ვ. პოდგორნი.

3. ულგრიხტი სსრ კავშირში

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის პირველი მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ვ. ულბრიხტი მეუღლითურთ და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიული და სახელმწიფო მოღვაწენი, რომლებიც მას ახლავან, 9 ივნისს დილით ომსკიდან თბომავალ „რაკეტით“ ჰაჯყენენ ირტიშს და ეწვივნენ ჩაპაევის სახელობის სანაპირო კოლმეურნეობას (ომსკის ოლქი).

ვ. ულბრიხტი და მისი თანამგზავრები დაწვრილებით გაეცვნენ მოწინავე კოლმეურნეობის ეკონომიკას. გერმანელ სტუმრებთან ერთად იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ა. პ. კირილენკო და სხვები (საკადესი).

სემინარი აზიისა და აფრიკის ლიტერატურათა საკითხებზე

მოსკოვი, 9 ივნისი. (საკადესი კორ.). გუშინ მოსკოვში გაიხსნა სემინარი საბჭოთა კავშირში აზიისა და აფრიკის ქვეყნების ლიტერატურათა შესწავლის, თარგმნისა და გამოცემის საკითხებზე. სემინარი მოაწყვეს ჟურნალების „ლიტერატურული“ და „ნოსტრანნაია ლიტერატურის“ რედაქციებმა.

„მრგვალ მაგიდასთან“ საქმიანი საუბრისათვის შეიკრიბნენ მწერლები, მთარგმნელები, ლიტერატურათმცოდნეები, რომელთა შორის არიან საბჭოთა კავშირის მომბე რესპუბლიკათა წარმომადგენლები.

ჟურნალების რედაქციებმა ისარგებლეს იმით, რომ დელეგატებში არიან აზიისა და აფრიკის ქვეყნების მთელი რიგი მწერლები, რომლებიც ტარას შევჩენკოს სიიუბილეო ზეიმზე ჩამოვიდნენ, აგრეთვე მწერლები, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში არიან კულტურული თანამშრომლობის გეგმების შესაბამისად, და სთხოვეს მათ მონაწილეობა მიეღოთ სემინარის მუშაობაში.

შესაფერი სიტყვა წარმოთქვა ჟურნალ „ლიტერატურული“ მთავარმა რედაქტორმა ვ. ოზეროვმა.

მირზო თურსუნ-ზადეს წინადადებით სხდომის მონაწილეებმა ერთი წუთის დუმილით პატივი სცეს ინდოეთის გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის ჯავაჰარლალ ნერუს ხსოვნას.

ამხანაგურ დისკუსიებში მონაწილეობა მიიღეს პროფესორმა სუნიტი კუმარ ჩატერჯიმ (ინდოეთი), ჰამიდ გულამმა (უზბეკეთი), ჯონ ოკაიმ (განა), საიდ ჰუსსანინუდინ რაშიდმ (პაკისტანი), დ. კომისაროვმა (მოსკოვი) და სხვებმა.

სემინართან დაკავშირებით გაიხსნა წიგნის გამოფენა. გამოფენა გვიჩვენებს, თუ რა ფართო საქმიანობას ეწევიან საბჭოთა გამომცემლობები აზიისა და აფრიკის ქვეყნების მწერალთა ნაწარმოებების რუსულ ენასა და სსრ კავშირის სხვა ენებზე თარგმნის საქმეში. აქვეა გამოფენილი საბჭოთა მხატვრების ნაწარმოებები, რომლებიც ეძღვნება ამ კონტინენტების ხალხთა ცხოვრებას.

დავაჩქაროთ კოღხეთის ათვისება

ცხაკაიას კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს ტეხურის საბჭოთა მეურნეობაში გაიმართა თათბირი, რომელმაც განიხილა შემდეგი საკითხი: თუ როგორ სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება კოლხეთის დაბლობის ამოშრობილი მიწების ათვისების ღონისძიებათა დაჩქარების შესახებ. თათბირში მონაწილეობა მიიღეს კოლხეთის ზონაში განლაგებული საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ხელმძღვანელებმა, პარტიულ კომიტეტთა მდივნებმა, საწარმოო სამმართველოთა უფროსებმა, „კოლხეთმშენისა“ და „ყველა მეურნეობის სისტემათა სამმართველოების სპეციალისტებმა, მანქანა-მელიორაციულ საგზაურთა დირექტორებმა, „საქსოფლტექნიკის“ რაიონულ გაერთიანებათა უფროსებმა, სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთა ხელმძღვანელებმა, რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ.

თათბირზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრმა ზ. გელდიაშვილმა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს სპეციალიზებული მექანიზებული ტრესტის მმართველმა შ. ახმეტელმა, საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის ზუგდიდის სისტემის სამართველოს უფროსმა მ. ბადაშვილმა, ცხაკაიას საწარმოო სამმართველოს ტეხურის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა დ. შამათავამ, ქალაქ ლანჩხუთის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მ. იმნაძემ, ზუგდიდის საწარმოო სამმართველოს ახალციის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ო. ანთიამ, გეგეჭკორის საწარმოო სამმართველოს ზანის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ტ. თელიამ, მახარაძის საწარმოო სამმართველოს უფროსმა ვ. ჯაფელმა, გალის საწარმოო სამმართველოს ხუმუშქურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა მ. ეზუგბაიამ, ზუგდიდის საწარმოო სამმართველოს პარტკომის მდივანმა ა. ქვარცხავამ, ცხაკაიას საწარმოო სამმართველოს სოფელ თეკლათის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ქ. გრიგოლიამ, სრულიად საკავშირო ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის კოლხეთის ფილიალის დირექტორმა ა. მოწერელიამ, ზუგდიდის საწარმოო სამმართველოს ქვაღონის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა გ. ბუკიამ, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის დაპროექტების სახელმწიფო ინსტიტუტის დირექტორმა გ. ჭირაქაძემ, „კოლხეთმშენის“ სამმართველოს უფროსმა ბ. კვატაშიძემ, საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის მინისტრმა გ. ქობულიამ.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის ბიუროს თავმჯდომარემ ამხ. შ. ი. ბაქუაჯაძემ.

თათბირმა შეიმუშავა ღონისძიება — გრაფიკი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესასრულებლად, რომ დაჩქარდეს კოლხეთის დაბლობის ამოშრობილი მიწების ათვისება. (საკადესი).

ულუკიძის სასოფლო საწარმოო სამმართველოს მეჩაიეებმა წელს ვალდებულებით უნდა მოკრიფონ 5.500 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. დღემდე კი მოკრეფილი აქვთ 2.200 ტონაზე მეტი.

აპრილ-მაისის გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს დედალაურისა და პატარა ჯიხაიშის კოლმეურნეობებმა და მათ გადაეცათ პარტიული კომიტეტისა და საწარმოო სამმართველოს გარდამავალი დროშები.

ჩაის ფოთლის კრეფაში დაწინაურდა ქალაქ წულუკიძის წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობა. დიდ წარმატებას აღწევს ამ კოლმეურნეობის ახალგაზრდული რაზოლის ხელგრამ ნედლეულს. მისმა რგოლმა აპრილ-მაისის დავალება 130 პროცენტით შეასრულა.

დაწინაურდნენ

მძღვანელი დალი წივწივაძე. იგი დღეში კრეფს 120-130 კილოგრამ ნედლეულს.

დაწინაურდნენ აგრეთვე გუბის, სუხჩის, დიდი ჯიხაიშის კოლმეურნეობები, სამტრედიის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა. წულუკიძის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ უკვე მოკრიფა 800 ტონაზე მეტი „მწვანე ოქრო“.. აქ დღეში იკრიფება 30-35 ტონა.

ქობულეთის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ყოველდღე ძლიერდება ფოთლის კრეფის ტემპი. გუშინ მოკრიფა 647 ტონა, გუშინწინ — 640 ტონამდე, სულ სეზონის დაწყებიდან — 10.000 ტონაზე მეტი.

დაწინაურდა ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა. აქ გუშინ მოიკრიფა 94 ტონა ფოთოლი. ამდენი რაოდენობით ფოთოლი მეურნეობაში არასოდეს არ მოკრეფილა. სულ მოკრეფილია 950 ტონაზე მეტი ჩაის ნედლეული.

200.000 ტონა ჩაის ფოთოლი

ფლიერი გეგმა შეასრულეს

ფაალეთგო. (საკ. კორ). სულ უფრო მრავლდება ჩაის ფრონტის მოწინავეთა რიცხვი. საწარმოო სამმართველოში გამოჩნდნენ ახალი გმირები, რომლებმაც ვადამდე შეასრულეს ჩაის კრეფის ფლიერი გეგმები.

სოფელ გვიმიტიბის მარკაზის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიემ თამარ კაკაურიძემ უკვე მოკრიფა 2.400 კილოგრამზე მეტი ხარისხოვანი ფოთოლი. ფლიერი დავალება გაანაღდა კვლიმორელმა ჭანია კუხალეიშვილმაც, რომელსაც 2.300 კილოგრამზე მეტი აქვს მოკრეფილი. იგი ახლა კრეფს ნაკისრი ვალდებულების ანგარიშში, რაც 8 ტონას ითვალისწინებს.

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔ ᲡᲐᲐᲗᲘᲡ

დიდი მადლობა

ინდოეთის განსვენებული პრემიერ-მინისტრის ჯავაჰარლალ ნერუს ქალიშვილმა ინდირა განდიმ ნიუ-იორკიდან დეპეშა გამოუგზავნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს. დეპეშაში ინდირა განდი დიდ მადლობას უძღვნის ნ. ს. ხრუშჩოვსა და ნ. პ. ხრუშჩოვას სამძიმრისათვის ნერუს გარდაცვალების გამო.

ჩემი მამა, წერს ინდირა განდი, ერთომ დიდად აფასებდა როგორც თავის გულთბილ პირად ურთიერთობას თქვენთან, ისე ჩვენი ქვეყნების მჯარდ კავშირურთიერთობას. ვიცი, მას სურდა, რომ ჩვენს ხალხებს განეგრძოთ ეს მშვიდრო თანამშრომლობა და ჩვენი ერთობლივი ღონისძიებანი ქვეყნად მშვიდობისათვის. (საკადესი).

ი. ბროზ ტიტო ბელგრადში დაბრუნდა

ბელგრ

ქებას ამბობენ ხარატიანთ გვარისას



კოტე ახობაძე ამწის კაბინაში ზის და განზე გაპყურებს მერე სართულამდე მაღლა აზიდულ ჯერ გადაუხურავ სახლს.

ამწე ზანტად, მაგრამ შეუსვენებლად ამოძრავებს ფოლადის გიგანტურ მკლავს, ძაღლადის ფურცლის სიმსუბუქით მიაქვს მეშვიდე სართულში ჩასასმელი კიბის სამარშე მძიმე დეტალი. ასწია დეტალი ამწემ, მერე სართულის კედელს გადაატარა, ნებანება დაუშვა ძირს. დაშვებისას ორმა კაცმა დეტალის მდებარეობა ხელით შეასწორა, გაისმა მძიმე რკინაბეტონის საფეხურებიანი სამარშეს სათანადო ბუდეებში ჩაკეტვის ხმა, და, თითქოს ჰაერში მონავარდე ჩიტებმა გადმოგვცეს, ქვემოთ მდგომებს შემოგვესმა ახობაძის ხმა:

— ჰო, შენი გამკეთებლის მარჯვენის ჭირიმე!

მართლაც იუველირული სიფაქიზით არის გაკეთებული სართულებზე ასასვლელი კიბის ეს დეტალები. ბეჭედივით მოერგება, ჩაჯდება და სამუდამოდ ჩაეჭიდობა კიბის ერთი ნაწილი მეორეს. არავითარი მოპირკეთება, დამატებითი შრომის დახარჯვა საჭირო არ იქნება, თუნდაც ახლავე აერიგამუდნენ მის საფეხურებზე ჩვენი გამხარებელი ცელქები, რომელთაც ხტუნვა-ხტუნვით ასვლა ურჩევნიათ ლიფტით ასრიალებას.

სხვა მეამწეებისა თუ შენობათა მემონტაჟე-მშენებლებისგანაც ხშირად გაიგონებთ კიბის სამარშე დეტალების მკეთებელთა მისამართით ნათქვამ „მარჯვენის ჭირიმეს“, მაგრამ ყველამ როდი იცის, თუ ვისმა მარჯვენამ, ვისმა შემოქმედებითმა უნარმა უზრუნველყო ასეთი სრულყოფილი, საბოლოოდ გამზადებული ნაკეთობის გამოშვება, ვის ბრიგადას ეკუთვნის თბილისის სამშენებლო ინდუსტრიის ტრესტის მეხუთე კომბინატის ლითონის საწარმოში მომუშავე ვახტანგ ხარატიშვილის კომუნისტური შრომის ბრიგადას.

მისი ბრიგადა რკინაბეტონის სამშენებლო დეტალების ჩამოსასხმელი ლითონის ყალიბების, ფორმების, კასეტების გაკეთებაზე მუშაობს. მიუტანეთ მათ რა კონფიგურაციისაც უნდა იყოს ლითონის ფორმის — „კასეტის“ ნახაზი, და მას უნაკლოდ ჩაგიბარებენ გამოსაყენებლად გამზადებულს. მაგრამ ნახაზის შედგენას გარკვეული ხარის გაწვევა ახლავს, დროც ბევრი უნდა, იყო ასეთი არაერთი შემთხვევა: პროექტი, სამუშაო ნახაზი არ ჰქონდათ, ახლებური კასეტის შექმნის იდეა კი იყო. კომუნისტური შრომის ამ სახელოვანი ბრიგადის ხელმძღვანელს ვახტანგ ხარატიშვილს ახალ ტექნიკურ იდეაში შემოქმედებითად შეჭრის გულოსმინსური უნარი აქვს. ოღონდ იდეა გააცანი, ნაკეთობის მიზანდასახულობა განუმარტე, დანარჩენს თვითონ მოიფიქრებს. ბრიგადაშიც ისეთი ხელმარჯვე ბიჭები ჰყავს, უკეთესს კაცი ვერ ინატრებს. ლითონს აამეტყველებენ, სულს ჩაუდგამენ, სასწაულებრივ რამეს გააკეთებენ, ხოლო კონსულტაციისათვის არსად დასჭირდებათ წასვლა, იქვე ჰყავთ ლითონის ჯადოქარი კონსულტანტად, თვითონ ბრიგადირი — ვახტანგ ხარატიშვილი.

ყოველ სალს, ცხადია, კიბე სჭირდება. კიბის სამარშე ნაწილებს, რასაკვირველია, წინათაც აკეთებდნენ თბილისში, აკეთებენ ახლაც ძველ ჩვენს სამშობლოში, რკინაბეტონის სამშენებლო კონსტრუქციების ათასობით ქარხანაში და პოლიგონზე, მაგრამ ძვირი უჯდებათ მშენებლებს ეს კიბეები. მათ მოსაპირკეთებლად დამატებითი სამუშაოების შესრულება, მაშასადამე, დამატებითი ხარჯის გაწევა არის საჭირო. ხარატიშვილის ბრიგადის მიერ გაკეთებული კასეტებით ჩამოსხმული კიბის სამარშე დეტალები უნაკლო გამოდის. მიიტანენ ორ დეტალს, ამწით დააყენებენ, ერთი მეორეს მოარგებენ, და ამ სართულზე კიბე მზად იქნება. არც დამატებით მოსაპირკეთებელი კოტხეებით უნდა იყოს შეწყობილი. რა იქნება, რომ ეს საფეხურები ერთი მეორესთან ოვალური კუთხეებით დავაკავშიროთ? ოვალს ბეტონი კარგად იტანს, მაშასადამე, საფეხურები არ დამაბინჯდებიან და კიბის სამარშე დეტალი უფრო ხარისხიანი იქნება.

სამწუხაროდ, სათანადო ცდის მოსახდენად სათანადო კონფიგურაციის ლითონის კასეტია საჭირო. ლითონის კასეტის ახალი კონფიგურაციით გასაკეთებლად კი საჭიროა პროექტი, საჭირო ლითონის სპეციფიკაციის განსაზღვრა, სამუშაო ნახაზები. მიმართეს ერთ-ერთ ავტორიტეტიან დამპროექტებელ ორგანიზაციას, რომელიც სამშენებლო მექანიზმების დაპროექტებაზე მუშაობს, და პასუხად მიიღეს: 6-7 თვე დრო დაგვჭირდება, საგრძნობი თანხის გაღება მოგიწევთო.

მთავართბილისმშენის ხელმძღვანელებმა ამხ. გ. შენგელიამ და რ. ნინიძემ ხელი ჩასჭიდეს კიბის სამარშე დეტალების დაყალიბებაში ამ სიახლის დანერგვის იდეას და მოუხმეს მეკასეტეთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელს ვახტანგ ხარატიშვილს, აუხსნეს ამოცანა, განმარტეს მიზანდასახულობა, სახელდახელოდ მოუხაზეს ახალი კასეტის კონტური.

— გავაკეთებთ, არ გვინდა არც სპეციფიკაცია, არც სამუშაო ნახაზი!

ბრიგადირმა გიგო ამოცანა. ახლა საჭირო იყო ბრიგადის წევრებისათვის ბრიგადირის მოსაზრებათა გაცნობა. ვასილ შვედი, ვლადიმერ ფირცხალავა, გურამ კარიჭაშვილი, ჯუმბერ დევდარიანი, დომენტი ჯიბლაძე და შოთა ხუბლუური ბევრად როდი ჩამორჩებიან ბრიგადირს ნოვატორული აზრის განვრეტაში. გიგეს ხარატიშვილს ჩანფიქრი, და შვიდი თვე კი არა, ერთი თვეც არ იყო გასული, რომ ახალი კასეტი, საკეტებითა და საორთოქლებით გაწყობილი, ლითონის მძიმე, ჯერ უნახავი ყალიბი საცდელად თბილისის სამშენებლო ინდუსტრიის ტრესტის პირველ საწარმოო კომბინატის ხელმძღვანელებს, ინჟინრებს ნუგზარ გუნცაძეს და მიხეილ ახელედიანს გადასცეს.

შესანიშნავი აღმოჩნდა ეს პირველი კასეტი. მწარმოებლებმა კიდევ ოთხი ასეთი კასეტი მოითხოვეს. ეს კასეტებიც გაუკეთეს მათ ვახტანგ ხარატიშვილის კომუნისტური შრომის ბრიგადაში, და ახლა კიბის სამარშე დეტალებს, მოპირკეთებულსა და დასაყენებლად უნაკლოდ გამზადებულს, როგორც თორნში ჩაკრული შოთებს, ისეთი ტემპით „აცხობენ“ კომბინატის პოლიგონზე. კიბის სამარშე დეტალები გამოდის ერთიორად უფრო ხარისხიანი, ერთიორად უფრო მოკლე დროში და ორჯერ უფრო იაფად, ვიდრე წინათ გამოდიოდა.

თბილისელმა მშენებლებმა სამშენებლო საქმის განვითარებაში ბევრი სხვა სიახლეც შეიტანეს, ხოლო ვახტანგ ხარატიშვილის კომუნისტური შრომის ბრიგადამ ამ სიახლეებს ლითონით შეასხა ხორცი ისე, რომ არც პროექტი მოუთხოვნიათ, არც ნახაზები. აი, თუნდაც შენობის სახურავი ფილებისათვის კასეტების გაკეთება. რკინაბეტონის ასაწყობი ამ სახურავი ფილების შემქმნელნი არიან გ. არობელიძე და რ. ნინიძე. ვთქვათ, აიყვანეს შენობა ბოლო სართულამდე, მოიტანეს ეს ფილები. დაწყეს მის სახურავიკიდ. კარნიზიც მზად იქნება და სამუდამო ბანიანი სახურავიც. ცოტა დავდარაბა როდი უნდა ასეთი სახურავი ფილების დასაყალიბებელი კასეტების გაკეთებას. ეს კასეტებიც ამ კომუნისტური შრომის ბრიგადამ გააკეთა...

როცა წყნეთისაკენ მოგიხვევთ გაგლა, დაკავირდით ბაგების აქეთ ვაკეზე ახლახან დამთავრებული დიდი საცურავი აუზის შენობის სახურავს. შუშით არის თუ თუთიის ფურცლებით ეს შენობა გადახურული? მზის სხივები აღმაცირად დასთამაშებენ სახურავს, ეგეგონება, ზეციმა წამოსულაო, მაგრამ სხივები ზეციმის წვეთებისაგან განსხვავებით შეუმჩნევლად ქრებიან სახურავის ნაპირთანვე. ეს ეფექტი სახურავი თუთიის ფურცლების ოსტატური დატვიფრვით არის გამოწვეული. ფურცლები ხარატიშვილის კომუნისტური შრომის ბრიგადაში დატვიფრეს, ხოლო ტვიფრი საგულდაგულოდ და საკუთარი ფანტაზიით შექმნა ბრიგადის ხელმძღვანელმა.

ამიტომ ამბობენ ხარატაანთ ვახტანგის, ყალიბების, ფორმებისა და კასეტების დამამზადებელი კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელის ქებას.

დ. ლომთაძე.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„ჯერაც არ არის“

ამ სათაურით „კომუნისტში“ დაბეჭდილ წერილში ლაპარაკი იყო გორის რაიონის სოფელ კარალეთის საშუალო სკოლის შენობისათვის ოთახების მიშენების გაჭიანურების ფაქტზე. წერილთან დაკავშირებით გორის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ი. ეცაძეს შვილი რედაქციას ატყობინებს:

გაზეთ კომუნისტში“ დაბეჭდილ წერილში მოყვანილი ფაქტები შემოწმებით დადასტურდა. ამის შესახებ იმსჯელა გორის რაისაბჭოს აღმასკომმა. სარემონტო სამშენებლო კანტორის ხელმძღვანელობას მითითება მიეცა სამუშაოს დროულად დამთავრებისათვის.

ამჟამად აღნიშნული ოთახების მშენებლობა დამთავრებულია და გადაცემულია საექსპლოატაციოდ.

●

„ჩვენი სამდურავი“

ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულ წერილში „ჩვენი სამდურავი“ ლაპარაკი იყო საქნავთის ტარიბანის უბნის მუშაკთა კულტურული მომსახურების საქმეში არსებულ ნაკლოვანებებზე. წერილთან დაკავშირებით სიღნაღის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ე. შანშაშვილი რედაქციას ატყობინებს:

გაცნობებთ, რომ გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილ წერილში „ჩვენი სამდურავი“ მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. რაისაბჭოს აღმასკომმა კულტურისა და კინოფიკაციის განყოფილებებს დაავალა გააუმჯობესონ საქნავთის ტარიბანის უბნის მუშებისა და მოსამსახურეების მომსახურება.

სპკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი—ცხოვრებაში

ივნისის პლენუმის დადგენილებანი, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებთან პარტიის ხელმძღვანელი ამხანაგების ბოლო წლებში ტრადიციად ქცეული შეხვედრები უდევს საფუძვლად ახლა იდეოლოგიის სფეროს ყველა დარგის მუშაობას, მათ შორის გამომცემლობების მუშაობასაც. რადგან ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ ბეჭედივით სიტყვა, წიგნი წარმოადგენს ადამიანთა იდეური წრთობის მძლავრ იარაღს.

ამ კარგ და უაღრესად საჭირო საქმეში თავისი წვლილი აქვს შეტანილი აგრეთვე გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“. „საბჭოთა საქართველო“ „სახელგამის“ მემკვიდრეა. „სახელგამი“ კი საბჭოთა ხელისუფლების პირმშოა, პირველი ეროვნული, რომელმაც ბევრი სიხარული მოუგვარა ჩვენს მკითხველებს, მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი ქართული წიგნის თარიგებზე.

საგაზეთო სტატიაში მოუხერხებელია გამომცემლობის მუშაობის დეტალური ანალიზი. ეს არც არის ჩვენი მიზანი. მხოლოდ რამდენიმე ძირითადი საკითხის თაობაზე გვინდა შეეჩერდეთ, მით უმეტეს, რომ, როგორც ყველას კარგად მოეხსენება, ჩვენი მუშაობის ნაყოფიერება ბევრად არის იმაზე დამოკიდებული, თუ რამდენად ღრმად ჩავწვდებით მკითხველთა მოთხოვნილებებს, რამდენად ახლო კავშირს დავამყარებთ მათთან.

ჩვენი ცხოვრების ძირითადი ქვაკუთხედი გეგმიანობაა. გეგმა — სახელმწიფო კანონი! ეს მარტივი ჭეშმარიტებაა. თვითკრიტიკი უნდა ითქვას, რომ გამომცემლობები, კერძოდ „საბჭოთა საქართველო“ (ადრე „სახელგამი“), წლების მანძილზე ვერ ასრულებდნენ თემატურ გეგმას, და საოცარია, რომ ეს დიდად საკვირველ ამბადაც არ იყო მიჩნეული. გეგმა თვითმფინანი არ არის. მაგრამ როდესაც გამომცემლობა ვერ ასრულებს თავის ოფიციალურ დანაპირებს, პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენს მკითხველებს აკლდებათ წიგნი, წიგნი — სულიერი საზრდო. წლების მანძილზე ჩვენი მუშაობის მეორე, არანაკლებ ჩრდილოვანი მხარე ის გახლავთ, რომ ჩვენ შორ გამოცემული ყველა წიგნი როდია მაღალხარისხოვანი.

ზოგჯერ საკმაოდ დიდი თანხები ფუჭად იხარჯება. ხშირ შემთხვევაში ეკონომიკის დარგში ჩვენ ბრძად ვმუშაობთ, წინასწარ არ ვიცოდით, რა დაგვიჯდებოდა ამა თუ იმ წიგნის გამოცემა. ამის შედეგად არაიშვიათად განვიცდიდნენ ფინანსურ სიძნელეებს. და ყველაფერი ეს ხდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე. სათანადოდ არ იყო რეგლამენტირებული აგრეთვე სტამბებთან ურთიერთობა. გამომცემლობის შეკვეთებს სტამბები ყოველთვის როდი ასრულებდნენ ზუსტად და დადგენილ ვადებში. ჩვენ კი უძლური ვიყავით რაიმე გვეღონა. შეიძლება პარადოქსალურად ჟღერდეს, მაგრამ მეორე მხრივ სტამბები სისტემატურად ასრულებდნენ თავიანთ გეგმებს — გარეშე, არაძირითადი დანიშნულების შეკვეთების ხარჯზე.

ავტორების მამართაც გვეთქმის საყვედური. ზოგიერთი მათგანი იმით კმაყოფილდებოდა, რომ განაცხადის საფუძველზე შეგვატანინებდა თავს გეგმაში, დაიარების შესრულებაზე კი ნაკლებად ზრუნავდა, ანდა უკვე ანაბეჭდებში შეიქონდა უსასრულო შესწორებანი. გამომცემლობის მუშაკთა ერთი ნაწილის წყაროების შედეგად ეს, გარდა იმისა, რომ აგვიანებდა წიგნის გამოცემას, მძიმე ფინანსურ ტვირთადაც აწვებოდა სახელმწიფო ბიუჯეტს.

1964 წლის თემატური გეგმა ბოლო წლებთან შედარებით პირველად შედგა და დამტკიცდა დროულად. მთავარი კი მაინც ის გახლავთ, რომ გეგმაში უპირატესად შეეტანეთ სარედაქციო პორტფელში უკვე რეალურად არსებული და უკვე სათანადოდ „პრობირებული“ დედანები ნებანი, მომავალში ამ პრინციპს გამომცემლობა კიდევ უფრო მეტი სიზუსტით დაიცავს, რადგან ეს მთავარი წინაპირობაა გეგმების შესრულებისათვის.

ბეჭედვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის შექმნასთან დაკავშირებით ზუსტად განისაზღვრა რესპუბლიკის სხვადასხვა გამომცემლობათა პროფილი. ეს იმის საწინდარია, რომ თავიდან იქნება აცილებული დუბლირება. ასევე კარგი სიახლეა გრაფიკების შემოღება. ახლა თვითეულ დედანს გამოცემის წინასწარ შედგენილი დათარიღებული ბიოგრაფია აქვს და პრაქტიკულად ვხედავთ, რომ ეს უდავოდ კარგ შედეგს გამოიღებს.

მაგრამ ჯერ კიდევ გვაქვს ბევრი მოსაგვარებელი საკითხიც. ისევ სტამბების შესახებ: გამომცემლობა „ნაკადულზე“ ერთი სტამბის მიმაგრება და აქედან გამოდინარე კარგი შედეგები გვაფიქრებინებს, რომ ამ ეტაპზე (მხედველობაში გვაქვს რესპუბლიკის პოლიგრაფიული ბაზის დღევანდელი დონე) მიზანშეწონილი იქნებოდა სხვა გამომცემლობებსაც ჰქონდეთ დაქვემდებარებული თუ არა, მომაგრებული სტამბები მაინც. როდესაც ამ საკითხს ვაყენებდით, მუდამ სახელმძღვანელოების გამოცემის მოტივით გვეუბნებოდნენ უარს. მაგრამ, ჯერ ერთი, „ახლა გაცილებით უკეთეს მდგომარეობაშია ეს საქმე და, მეორეც, ერთხელ კიდევ მთელი სერიოზულობით უნდა მოთხოვნის შესაბამისად გთხოვთ გაზარდოთ ამა თუ იმ წიგნის ტირაჟი.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ მრავალდარგობრივია. ჩვენთან იბეჭდება მრავალფეროვანი ლიტერატურა — პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიური, ორიგინალური და თარგმნილი მხატვრული ლიტერატურა, სამეცნიერო-ტექნიკური, სასოფლო-სამეურნეო, სამედიცინო, სპორტული და სხვა დარგის წიგნები.

წლეულს უკვე გამოიცა და წიგნის მაღაზიებს დაურიგდათ ვ. ი. ლენინის სამტომეულის I ტომი ქართულ ენაზე, მოკლე ხანში გამოვა ნ. ს. ხრუშჩოვის „კომუნიზმის მშენებლობა სსრ კავშირში და სოფლის მეურნეობის განვითარება“ — I ტომი, გამოიცა აგრეთვე ბევრი საინტერესო წიგნი და ბროშურა პარტიული მშენებლობის და მასობრივ-პოლიტიკურ თემებზე, მთელი სერია ლიტერატურისა, რომელიც ამუქებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადწყვეტილებათა განხორციელების საკითხებს.

ცალკე უნდა ითქვას ქართული მხატვრული სიტყვის დიდოსტატთა ტომეულების გამოცემის თაობაზე. რა დასამალავია, ამ მხრივ ჩვენი გამომცემლობა რამდენადმე პირშერცხვენილია მკითხველთა წინაშე. ილიასა და აკაკის საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებული ტომეულების გამოცემა იმდენ ხანს გაჭიანურდა, რომ თითქმის მეორე საიუბილეო თარიღიც მოვიდა. სარეგისტრაციოდ, თუ შეიძლება ასე ითქვას, წლეულს ახლებური გეგმა აიღო „საბჭოთა საქართველომ“, კერძოდ მიმდინარე წელს დაიწყება და წელსვე დამთავრდება ჯაჯაფშაველას ათტომეულის გამოცემა. ასე რომ, ხელისმომწერელებს საშუალება ექმნებათ ნებასურვილის მიხედვით ცალ-ცალკე ან ერთად შეიძინონ ვაჟას თხზულებათა ყველაზე უფრო სრული გამოცემა ათ წიგნად. მაგრამ ეს გამონაკლისი რიდია. 1965-1966 წლებში განზრახული გვაქვს განვახორციელოთ გალაქტიონ ტაბიძის თორმეტ ტომეულის გამოცემა. ვფიქრობთ, მკითხველები ამაყოფილი დარჩებიან. ჩვენც არ ვიქნებით უკმაყოფილო, რადგან ალბათ თავიდან ავიცილებთ მათ სამართლიან საყვედურებს.

ტომეულების გამოცემა თავისთავად რომ კარგი საქმეა, ამაზე სიტყვის გაგრძელება არა ღირს, მაგრამ ერთი მტკივნეული საკითხის შესახებაც უნდა ითქვას. ასეთი ლიტერატურის არც თუ მეტისმეტი მომრაველებაა სასურველი. სხვა რესპუბლიკებში ამ საქმეს უფრო მეტი ზომიერებით უდგებიან, ჩვენთან კი ზოგიერთი მწერალი თუ პოეტი მეტისმეტად ზშირად გვაძალებს თავის თხზულებათა მრავალტომიან გამოცემებს, ეს 50 წელი შემისრულდაო, შემდეგ 55 წელი, მერე 60 წელიო. ხელმძღვანელმა ორგანოებმა, მწერალთა კავშირმა მხარი უნდა დაგვიჭირონ, რომ ეს **ნაკადი ნიადრევად არ იქცეს.** ასევე „რჩეულის“ შესახებ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ სიტყვა „რჩეული“ თავისთავად გულისხმობს ამორჩეულს. ზოგიერთი ავტორი კი ყრმობისდროინდელი ლექსთაცოდვილობის ნიმუშით დაწყებული გამომცემლობაში მოსული წინადღეს დაწერილი პირადი წერილით დამთავრებული ყველაფერს ერთად შეკრებილს მოგვიტანს ხოლმე და ირწმუნება, ეს არის ჩემი „რჩეულიო“. ასე რომ აქაც დიდი პრინციპულობის გამოჩენა (და მხო�aქერი) გვმართებდა. მაგრამ ტომეულების საქმეში არსებულ ყველა ცოდვას გამომცემლობა ვერ იკისრებს. ბევრი რამ დამოკიდებულია სათანადო ორგანიზაციებზე, კერძოდ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტზე და სხვ. მათაც ხომ აქვთ სამეცნიერო მუშაობის გეგმები, რომელთა შესრულება ჩვენც დაგეხმარება მკითხველთა წინაშე ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში. მაგალითად, განა ნორმალურია ის ფაქტი, რომ ქართული ლიტერატურის ისტორიის I ტომი კი ლიტერატურის ინსტიტუტიდან მხოლოდ წელს მიიღო გამომცემლობამ?

გვინდა ვამცნოთ მკითხველებს, რომ „საბჭოთა საქართველო“ გაისად იწყებს მრავალტომიანი სერიის „მსოფლიო ნოველის“ გამოცემას. ქართველი მკითხველი ორი-სამი წლის განმავლობაში მიიღებს მთელი მსოფლიოს კლასიკური და თანამედროვე საუკეთესო ნოველების საუცხოო ბიბლიოთეკას.

ჩვენი აზრით, გამომცემლობა არ შეიძლება შემოფარგლოს ერთი გემოვნებისა და მისწრაფებების მკითხველებით, მათი რომელიმე ერთი წრით. მთავარია, რომ ყველა წიგნი, რა თემაზეც უნდა იყოს დაწერილი, ხელს უწყობდეს კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანის სულიერ ფორმირებას, მისი გონების სალაროს გამდიდრებას.

წინა წლებისაგან განსხვავებით, როგორც აღვნიშნეთ, წლეულს უკვე დღეისათვის მზადა გვაქვს 1965 წლის თემატური და მოსამზადებელი გეგმების პროექტები, მაგრამ მათი საბოლოო დახვეწა-დაზუსტების დროს აუცილებლად გვესაჭიროება მკითხველთა ფართო მასების მოთხოვნილებათა ღრმად შესწავლა. ამ მხრივ ერთი მთავარი სიტყვა წიგნით მოვაჭრე ორგანიზაციას— „საქწიგნს“ ეკუთვნის. მაგრამ, რა დასამალავია, არაიშვიათად შემთხვევაში ეს ორგანიზაცია ღრმად ვერ სწავლობს ამა თუ იმ წიგნზე მკითხველთა რეალურ მოთხოვნილებას. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ წიგნის გამყიდველი იყოს არა მარტო გამყიდველი (ამ სიტყვის კომერციული გაგებით), არამედ წიგნის პროპაგანდისტ-პოპულარიზატორიც. ხშირად ეკ მეზეალთ წიგნის მაღაზიაში და ხელცარიელივე გამობრუნდებით უკან, თუმცა თქვენთვის საჭირო წიგნი თაროებზე (ან საწყობში) ათეულობით ეწყო. ბოლო ხანებში წიგნის რეკლამის საქმე რამდენადმე გაუმჯობესდა. პრესა, ტელევიზია და რადიომაუწყებლობა ხშირად გვიამბობენ ახალ წიგნებზე, წიგნის მაღაზიების ვიტრინებიც უფრო რაციონალურად ფორმდება. მაგრამ ეს არ ამარა. ახალი წიგნების რეკლამა მკითხველამდე წიგნის მიტანის ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა.

გამომცემლობის ყოველწლიური, ყოველდღიური პრაქტიკული მუშაობა გვიჩვენებს, რომ დღითიდღე მაღლდება ჩვენი მკითხველების, ჩვენი ავტორების შეგნებულობა. ამის ერთი მკაფიო ნიმუშია „საბჭოთა საქართველოს“ მიერ, ჩვენს რესპუბლიკაში პირველად, რამდენიმე წიგნის საზოგადოებრივ საწყისებზე გამოცემა. აქვე გვინდა „კომუნისტის“ მკითხველებს ვაცნობოთ, რომ ჟუმანიტარული დარგის მეცნიერებიდან პირველი, პროფესორი გიორგი გოზალიშვილი აღმოჩნდა, რომელმაც თავისი მრავალი წლის მეცნიერული კვლევის შედეგი, შესანიშნავი ხატოვანი ქართული ენით დაწერილი წიგნი „მითრიდატე პონტოელი“ გამომცემლობას უანგაროდ საზოგადოებრივ საწყისებზე გამოსაცემად ჩაბარა. სიტყვას არ დავწინაურებთ და მომავალი წლის კონკრეტულ მაგალითებს აღარ დავასახელებთ, მაგრამ ნამდვილად იმრავალი ავტორთა განცხადებებმა საზოგადოებრივ საწყისებზე წიგნების გამოცემის თაობაზე. უნდა აღინიშნოს, ამ ხალხს არა მარტო ფინანსური წვლილი შეაქვს ჩვენი ბიუჯეტის განმტკიცებაში, არამედ აგრეთვე ამჟღავნებს მაღალ შეგნებულობას. გამომცემლობას უკვე მიმდინარე წელს მრავალი ათასი მანეთი დაეზოგა ამ გზით. ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ჩვენი რესპუბლიკის ყველა სხვა გამომცემლობასთან ერთად „საბჭოთა საქართველოც“ უკვე შეუდგა მზადებას უდოტაციო მუშაობაზე გადასვლისათვის.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ მთელი კოლექტივი ერთსულოვნად არის დარაზმული ავტორთა და მკითხველთა შორის გონიერი შუამავლის როლის გასაწევად.

ე. მაღრაძე,
გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორი.

ავსახოთ ეპოქის მაჯისცემა

● წიგნი იდეოლოგიური მუშაობის მძლავრი იარაღია ●

ჩვენ ბევრ ადგილას ვამბობთ, ეს ეპოქა ასეთია, ეს ეპოქა ისეთია, ეს ეპოქა ... ეპოქა ... ეპოქა ... ეს ... ეპოქა ... ეს ... ეპოქა ... ეს

საბჭოთა კინოს კვირეული დანიაში

კოპენჰაგენი, 9 ივნისი. (საკდესი). აქ ქალაქის უდიდეს კინოთეატრ „პალადიუმში“ გუშინ გაიხსნა საბჭოთა კინოს კვირეული. დარბაზში, რომელიც მორთული იყო დანიისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით, იყვნენ ფოლკმტინგის დეპუტატები, დანიის საქმიანი წრეებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს სსრ კავშირის ელჩმა დანიაში კ. დ. ლევიჩკინმა, ოპერისა და ბალეტის სამეფო თეატრის მსახიობმა პოულ რეუფერტმა და კოპენჰაგენში კინოს კვირეულის გახსნაზე ჩამოსულმა რეჟისორმა ვ. ნ. ნაუმოვმა, მსახიობმა მარგარიტა ვოლოდინამ და გალინა პოლსკიხმა, რომლებსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ.

შემდეგ უჩვენეს ფერადი დოკუმენტური ფილმი, რომელიც ასახავს დანიის პრემიერ-მინისტრის ე. ო. კრაგის ვიზიტს საბჭოთა კავშირში.

დიდი წარმატება ჰქონდა კვირეულის პრემიერას — ლირიკულ კომედიას „დავიარეს მოსკოვის ქუჩებში“. დარბაზში ფილმის დამთავრებისთანავე იგრიალა მჭუხარე ტაშმ.

საბჭოთა კინოფილმის კვირეულის დროს დანიელები ნახავენ ავრეთვე „ოტემინტურ ტრაგედიასა“ და ფილმ-ბალეტს „მძინარე მზეთუნახავს“.

კოსმოსის მშვიდობიანი გამოყენების მიზნით

ჟენევა, 9 ივნისი. საკდესის კორესპონდენტი გ. დრაგუნოვი იტყობინება: კოსმოსის სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის სესიის დროს გაიმართა ამ კომიტეტის მოწაწილეთა — სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციათა ორმხრივი შეხვედრები. ამ შეხვედრებზე განიხილეს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია შეთანხმებასთან კოსმოსის დარგში თანამშრომლობის შესახებ, რომელიც დაიდო სსრ კავშირის და შეერთებული შტატების აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნულ სამმართველოს შორის. კერძოდ განიხილეს საკითხი, თუ როგორ უნდა განხორციელდეს პრაქტიკულად შეთანხმება მეტეოროლოგიური ინფორმაციის გაცვლის შესახებ, რომელსაც სსრ კავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ადრე მიაღწიეს. უახლოეს მომავალში მსოფლიოს ორ მეტეოროლოგიურ ცენტრს — მოსკოვსა და ვაშინგტონს დაკავშირებს კავშირგაბმულობის პირდაპირი არხი.

ᲛᲔᲒᲜᲘᲔᲑᲐᲠᲔ ᲞᲝᲔᲢᲘ—ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ

ᲙᲐᲝᲚᲝ ᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 70 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ნუ გეშინია,
ჩემო კარგო, თმაში ჭაღარა
ეს ხინთლეა,
სიყვარულს რომ შემატებია.

კაოლო იაშვილმა მეტეორივით გაიკვალა ახალი ქართული პოეზიის ცაზე და თვალმომჭრელი კვალიც დატოვა. მზისა და გაზაფხულის, სიკეთისა და ადამიანობის ტრფიალი, ღრმაგრძნობიერი და ჰუმანური გულით დაჯილდოებული პოეტი მოწყურებული იყო სიცოცხლის მრავალფეროვნებასა და სიხარულს, მის ნექტარს. ბობოქარი, ჭეშმარიტი მოქალაქე, გატაცებული მიჯნური თავისი ქვეყნისა, კეთილშობილების შეზოტბე, მეგობრობის მომღერალი, ელვარე სიტყვის პატრონი და ნათელი ოპტიმიზმის მქადაგებელი — მუდამ ასეთი იყო პაოლო იაშვილი.

სად არ შეხვდებოდით, რომელ შეკრებულობას არ ხიბლავდა მისი მჭევრმეტყველება, რომელ ტრიბუნას არ სწვდებოდა მისი ხმა. პაოლო ყველგან ყურადღების ცენტრში იდგა, ყველას აოცებდა უშრეტი ენერგიით, საოცარი ფანტაზიით.

ნიჭმა და სიახლის ძიებამ წილად არგუნა პაოლო იაშვილს გამმდარიყო ჩვენში ახალი პოეტური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ახალი ლექსის ერთ-ერთი ორგანიზატორი, პროპაგანდისტი — შემოქმედებით და თეორიულ ხასიათის წერილებით, ზეპირი გამოსვლებით საღამოებსა თუ დისკუსიებში. მან სიმბოლიზმის „ბოროტების ყვავილების“ გამბატონებელი სურნელება პარიზში ყოფნისას შეიყნოსა, შემდეგ ეს ყვავილები დარგო შობლიური ქვეყნის ფაიფურის ვაზაში, რომელმაც, ბუნებრივია, ვერ გაუძლო რეკოლუციის ქარტეხილს და დაიმსხვრა.

ცნობილია, რომ პაოლო იაშვილი პირველი მიესალმა ოქტომბრის დროშის აღმართვას სასახლის თავზე. ეს მისალმება არ ყოფილა უეცრად მოვარდნილი სტიქიური გრძნობის შედეგი. ეს იყო შედეგი მისი სულიერი დემოკრატიზმისა, ხალხის სულიერი ძლევამოსილების უძლეველი რწმენისა.

საუკეთესო რეალისტურ ტრადიციებზე აღმოცენებულ ლექსებში პაოლო იაშვილმა საბოლოოდ დაძლია ძველი ილუზია და მიზნად დაისახა აესახა ახალი სინამდვილე, ადამიანური სიმართლე. იგი გამოეთხოვა დეკადენტურ ცრურწმენებს, რომლებსაც სოციალისტურმა მშენებლობამ ნიადაგი გამოაცალა. პოეტი გულწრფელად და ენერგიულად ჩაება საბჭოთა პოეზიისათვის ბრძოლაში.

ახალ საქართველოს პაოლო იაშვილი შეეგება ღია გულით და აღტაცებული ლექსით, რომლითაც მშობლიურ ხალხს მოუწოდებდა წითელ რუსეთთან დაძმობილებისაკენ. 1924 წელს, როცა დიდი ლენინის გარდაცვალების გამო საბჭოთა კავშირს გლოვის სუდარა გადაეფარა, პაოლო იაშვილმა მდუღარე ცრემლებით გაათბო ლენინისადმი მიძღვნილი ლექსი. პოეტმა ლენინის უკვდავი სურათი სიყვარულით დახატა:

ლენინის სიტყვა, ბასრი და ცხელი
მეამბოხეებს შურისთვის ზრდიდა
და როცა თმენა საზღვარს მივიდა,
როცა შეხუთეს სული ჩარჩებმა,
ის გამოვიდა ოქროს თავიდან
და ჩაებარა ხალხს გამარჯვება.

ამ გამარჯვების ალმის შრიალი ისმის დღეს პოეტის ლექსების ერთადერთ წიგნში, რომელიც მან მკითხველებს დაუტოვა, როგორც ძეგლი თავისი მშვენიერი პოეტური სულისა.

პოეტმა შექმნა ციკლი ლექსებისა „ახალი კოლხიდა“, რომლითაც მთელი გზნებით უმღერა ადამიანის გონებისა და შრომის სასწაულმოქმედ ძალას, ბუნების გარდამქმნელ ძალას. პოეტი შთაგონებით წერს:

სალამი შენდა, პირველად ვინც რომ
ამოაშენე თბილი ავური
და დაივწყეს ის ყრუ და ვიწრო
სოფლის ადათი მამაპაპური.

ამ ლექსებში მან უმღერა განახლებულ მალთაყვას, ყორათს, ახალ მოსახლეთა ბედნიერებას, ბორკილახსნილ მშრომელს, რომელიც პოეტს ლომ-ვმირად ჰყავს წარმოსახული, არხებით დაქსელილ ახბინებულ სივრცეს, ახალ სახლებს, „რომ ანათებენ შარას“, —დიდ სამყარებს, მწყემსებს, ნახირს და სოფლის ახალგაზრდულ ყვავილებს — მხიარულ ბავშვებს.

ვიწრო განცდათა ჩარჩოებში მოქცეული სული ეხეთება. ამიტომ ოცნებობს იგი დიდ მანძილებსა და უნაპირო ველებზე. მისი გული ხომ უნაპირო, დიდი სიყვარულის დამტევი იყო.

მგზნებარე პოეტ-მოქალაქეს ყოველთვის იზიდავდა კეთილი, სადაც მან სიკეთეს ბედნიერი წლები გაატარა, და თბილისი — გმირული წარსულის ჩაუქრობელი კერა. ამ ქალაქებს იგი უწოდებდა პოეზიის ქალაქებს, პოეტების დიდ სატახტოს. ორივე ქალაქს თავის ლექსებში იგი ქებათა-ქებას ასხამს. მისი სუფილია ავარდეს მამადავითზე და იქ მოიყაროს მუხლი მშობლიური თბილისისა და მზის წინაშე. ეს წარმართული ღაღადისი მზისადმი პოეტის თითქმის ყოველ ლექსშია გამჯდარი.

იგი არ იყო ჩაკეტილი მხოლოდ პატრიოტულ გახცდათა სფეროში. მისი ღრმა და უხვი სიყვარული ყველა ხალხზე ვრცელდებოდა. მისთვის უცხო, მიუღებელი იყო ბურჟუაზიული კოსმოპოლიტიზმი, ახლობელი და ორგანული იყო კოლექტივიზმის, ინტერნაციონალიზმის გრძნობა. ამ გრძნობით მან პოლოსელ ხალხს უწოდა „ამაყი ძმები“, რომლებსაც იგი რუსთაველის სალამს უგზავნიდა. ხოლო 1936 წელს, როცა ესპანეთში დიდი ტრაგედია დატრიალდა, როცა ესპანელი ხალხი გმირულ ბრძოლას ეწეოდა ფაშისტური ურდოების წინააღმდეგ, ქუხილივით გაისმა პაოლო იაშვილის ლექსი „წინ, ესპანეთის გმირულო ხალხო!“ როგორც ჭეშმარიტი დემოკრატი, ხალხის ზრახვათა მესაიდუმლე, იგი გულგრილი ვერ დარჩებოდა შემზარავი ამბების მიმართ და აც დარჩენილა. მან თავისი ომახიანი ხმა შეუერთა პროგრესული კაცობრიობის ხმას:

წინ! ასტურიის გმირთა გმირებო,
ვინც დამონებას ვერ შეეთვისა,
ცოლდამშეულო, შვილნატირებო,
ყველა ჩაგრულო ესპანეთისა!
დაუბრუნდებით შეჩვეულ ბინებს,
წამოგიძღვებათ დროშა გაშლილი
და აღტაცებით მიიღებს მგრძებს
კეთილშობილი ჩვენი კავშირი.

მთავარ ღირებულებას მისთვის წარმოადგენდა ადამიანის მორალური სახე, მისი შრომითი ბიოგრაფია, მისი ოცნება მზიერ მომავალზე. პაოლო იაშვილმა მძიმედ განიცადა სომეხი ხალხის საამაყო პოეტის ხალხთა ძმობის დაუღალავი მქადაგებლის — ოვანეს თუმანიანის სიკვდილი და თავის ლექსში ამ სულმნათ შეჭოქმედს „წმინდა ოვანესი“, „წმინდა პოეტი“ უწოდა.

პოეტს შეეძლო ასეთივე ძალით და ვნებით შეზიზღებოდა და შესძულებოდა ადამიანი, თუ მასში სიყალბეს შეამჩნევდა, ღალატის სულს იგრძნობდა, ცნობილია მისი ლექსი „ანდრე ეიდს — მოღალატეს“, რომელიც ქართულ პოეზიაში პამფლეტური პოეზიის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად ჩაითვლება.

ლექსში პოულობდა იგი სულის შვებას, ადამიანის სულიერ შარავანდედს, სიმდიდრესა და აღფრთოვანებას. მან არაერთი ლექსი მიუძღვნა პოეტის შთაგონებას, მის დანიშნულებას. ლექსში „პოეზიის ინკინრებს“ პოეტს ხიბლავს მზით სავსე მომავალი, რომელსაც სარდლად მიუძღვის შრომა.

ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი შეოქმედებითი პროცესის სირთულე, მხატვრულ სიტყვასთან ბრძოლის სიძნელე. ამიტომ აღიარებდა იგი ასე გულახდილად: „მაგრამ არ არის ტანჯვა უფრო უზარმაზარი, როგორც პოეტის შთაგონებით დასნეულება“. პაოლო გრძნობდა მწერლის დიდ პასუხისმგებლობას ხალხის წინაშე და ამიტომ იბრძოდა ყოველი ცოცხალი სიტყვისათვის, პოეტური სახისათვის, ახალი რითმისათვის: ამ პასუხისმგებლობის შეგნების შედეგი იყო ის გარემოება, რომ მას სიცოცხლეში თავისი ლექსების არც ერთი წიგნი არ გამოუცია.

ბუნების წიაღში პოულობდა მოსკვენებას მისი ნაზი, ლირიკული სული. თავის ლექსებში პოეტმა იშვიათი თბილი სალებავებით დახატა მშობლიური სოფლის არგვეთის, ზემო იმერეთის წარმტაცი სურათები. სრულიად ახალი პოეტური სახეებით დაგვანახვა არგვეთის ღამე. ვარსკვლავებს „ვერცხლის მერცხლები“ უწოდა, მთვარე შეადარა თეთრ ხოსობს, „შქერის ტყეში გამართულ ტოტების ბადეებში“ ოთ ეცემა, ალვისხეებს სირმიანი ნაბდები მოაცვა, ხოლო მდინარე თეთრი ბატებით (ქაფით) ამოავსო.

ყველგან და ყველაფერში პოეტი სილამაზეს ეძებდა და პოულობდა კიდევაც. ერთ-ერთ თავის საუკეთესო ლექსში „დებედა ჩაის ღამე“ მან ჩვეული ოსტატობით გაკოცხლა „სილამაზის სულო შემთბარი ტრამალი“ და მშვიდი, დაწყნარებული ღამე, რომელსაც მიინც ვერ ურეგდებოდა მისი ბუნება. მართალია, ღამით მთელი ქვეყანა ულხინეს „ნანას“ წარმოადგენდა, მაგრამ პოეტის გული უფრო მზის პირველმა სხივმა შეაღხრია, და გაბარებულმა ხმამაღლა შესძახა მონადირეთა ბანაკს: „ამხანაგებო! უკვე გათენდა“. პოეტს ყოველთვის სიცოცხლე და დღის ელვარდობა ხიბლავდა.

ვერ ურეგდებოდა ღამეს პოეტის თითქმის უდარდელი, დარდიმანდი სული. მისთვის საშინელი იყო სიჩუმე, „ღამეში რომ მოიზანტება“, საშინელი იყო, „როგორც ომის მოახლოება“, როგორც „ტყვიის მზადება“. ეს სევდა იგრძნო ბითა და კეთილშობილებით მგზნებარე პოეტმა-მოქალაქე პაოლო იაშვილი.

ᲨᲐᲚᲕᲐ ᲐᲤᲮᲐᲘᲫᲔ.

ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲬᲧᲓᲔᲡ ᲩᲐᲠᲔᲕᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲖᲔ

მიმდინარე წლის 26 მაისს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა საბჭოთა კავშირისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებს, რომლებიც თავმჯდომარეობდნენ ჟენევის 1954 წლის კონფერენციის იდღონინეთის შესახებ, გაუგზავნა დეპეშა. მინისტრი თანამოაზრეთა ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ ამერიკის შეერთებული შტატებს განზრახული აქვთ გააფართოონ ომი სამხრეთ ვიეტნამში და ამასთანავე გააძლიერონ ძარგამმთხრელი საქმიანობა ჩრდილოეთ ვიეტნამის წინააღმდეგ. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი სთხოვს თანამოაზრეებს განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებანი, რათა არ განაგრძონ და არ გააფართოონ ომი სამხრეთ ვიეტნამში.

ამასთან დაკავშირებით 5 ივნისს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში დიდი ბრიტანეთის მოსკოველ ელჩს ჯ. ტრეველიანს გადაეცა საბჭოთა პროექტი. ჟენევის 1954 წლის თათბირის თანამოაზრეთა წერილისა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისა და ჟენევის თათბირის მონაწილე ქვეყნების ყველა მთავრობისადმი. საბჭოთა პროექტში ალინიშნულია, რომ თანამოაზრეთა მხარს უჭერენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თხოვნას და მოუწოდებენ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას განუხრელად დაიცვას ჟენევის შეთანხმებანი ვიეტნამის შესახებ, ამასთანავე მოელიან, რომ შეერთებული შტატები შეწყვიტენ ჩარევას სამხრეთ ვიეტნამის საქმეებში და ვიეტნამელ ხალხს საშუალებას მისცემენ თვითონ გადაწყვიტოს თავისი ბედი. თანამოაზრეები იმედს გამოთქვამენ, ნათქვამია შემდეგ პროექტში, რომ ამერიკის შეერთებული შტატების თავრობა, რომელსაც შეგნებული აქვს მაღალი პასუხისმგებლობა მშვიდობის შენარჩუნებისათვის სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ამ რაიონში, ჯერჯერობით ყურადღებით მოეკიდება ამ მოწოდებას. (საკდესი).

ᲙᲣᲒᲘᲩᲔᲙᲘᲡ ᲐᲮᲧᲐᲠᲔᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘ

რიო-დე-ჟანეირო, 9 ივნისი. (საკდესი). ბრაზილიის ხელისუფლებამ ათი წლით გაუქმეს დეპუტატის მანდატი და აჰყარეს პოლიტიკური უფლება სენატორს, ბრაზილიის ყოფილ პრეზიდენტს ჟუსელინო კუბიჩეკს. როგორც ბრაზილიის რადიო იუწყება მალე მოსალოდნელია, იმ პირთა ახალი დიდი სიის გამოქვეყნება, რომლებსაც პოლიტიკური უფლებები უნდა აჰყარონ.

ᲡᲐᲨᲔᲛᲝᲛᲡᲐᲕᲚᲝ გადასახადს ამერიკის შეერთებულ შტატებში ფედერალური მთავრობა და შტატების მთავრობები ახდევინებენ. ყველაზე მეტად უჭირთ მუშებს, მოსამსახურეებსა და წვრილ მეწარმეებს.

ᲐᲠᲚᲝᲕᲔᲜᲘᲡ ᲐᲠᲐᲕᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ

ლონსნეელოსის გაზეთ „ტერალდ-ეკზამინერის“ მხატვარი გადასახადების აკრეფას ჯიბეების ყოველწლიურ დაცარიელებას ადარებს.

ᲓᲘᲓᲘ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ

სოფია, 8 ივნისი. (საკდესი). კვიპროსელი ხალხი მუდამ მადლიერი იქნება საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნებისა უანგარო და გაბედული მხარდაჭერისათვის, წერს კვიპროსის მშრომელთა პროგრესული პარტიის გენერალური მდივანი ეზეკიას პაპაიოანუ გაზეთ „რაბოტნიჩესკო დელოში“.

ხალხის ერთობა საკმარისი ძალა არ იქნებოდა იმისათვის, რომ შეგვეჩერებინა იმპერიალისტთა აგრესია და ჩაგვეფუშა კვიპროსის მტრების დამპყრობლური გეგმები, რომ სოლიდარობა და მხარდაჭერა არ გაეწია სოციალისტურ ბანაკს, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირს, ხაზგასმით აღნიშნავს ე. პაპაიოანუ. დღეს ყოველი კვიპროსელი პატრიოტი დარწმუნებულია, რომ ნატოს იმპერიალისტთა ბრძოლისაგან კვიპროსმა თავი იხსნა უმთავრესად საბჭოთა კავშირის მხარდაჭერის წყალობით.

მაგრამ ჩვენი ბრძოლა არ დამთავრებულა, წერს იგი დასასრულ. ეს ბრძოლა ბევრ რთულ ფაზას გაივლის, სანამ სრული წარმატებით არ დაგვირგვინდება.

ᲣᲛᲘᲣᲠᲝᲒᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ

ნიუ-იორკი, 9 ივნისი. (საკდესი). აფრიკა-აზიის 58 ქვეყნის მოთხოვნით გუშინ უშიშროების საბჭო შეიკრიბა სხდომაზე, რათა მიიღოს დიდხანია მომზეფებული რადიკალური ღონისძიებანი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტული მთავრობის წინააღმდეგ. ყველა დოკუმენტში, რომლებიც შეტანილია საბჭოს დღის წესრიგში, აღიარებულია, რომ უთუოდ საჭიროა სამხრეთაფრიკელი რასისტების მიმართ გამოყენებულ იქნეს ეკონომიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრისათვის სავალდებულო ყოვლისმომცველი ეკონომიური სანქციები.

მდგომარეობა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში კვლავ მწვავდება და ახლა სერიოზულ საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას. აფრიკის ჯგუფმა ეკონომიანებული ერების ორგანიზაციამი საბჭოს სხდომის წინ გამოქვეყნებულ განცხადებაში აღნიშნა, რომ მდგომარეობის გაუარესება გამოწვეულია არა მარტო ფერვურდის მთავრობის პოლიტიკით, არამედ იმითაც, რომ დასავლეთის სახელმწიფოებს, უწინარეს ყოვლისა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ძირითად სავაჭრო პარტნიორებს — ინგლისს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთს — არ სურთ გამოიყენონ ეკონომიური სანქციები.

საბჭოს მუშაობაში აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციისაგან მონაწილეობენ ტუნისის, სიერა-ლეონეს, ლიბერიისა და მალგაშის რესპუბლიკის წარმომადგენლები. განხილვაში მონაწილეობენ აგრეთვე ინდოეთის, პაკისტანისა და ინდონეზიის წარმომადგენლები.

ლიბერიის სახელმწიფო მდივანმა რუდოლფ გრაიმსმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის სახელმწიფოებს არა აქვთ სხვა არჩევანი, გარდა იმისა, რომ მოთხოვონ უშიშროების საბჭოს გამოიყენოს ეკონომიური სანქციები...

ინდოეთის წარმომადგენელმა ქალბატონმა ლაქშმი მენონმა აღნიშნა, რომ საბჭო სხდომებს მართავს ის დროს, როცა ნელსონ მანდელას, უოლტერ სისულუს და სხვა სამხრეთაფრიკელ პატრიოტებს სიკვდილი ემუქრებათ. „რივონიის პროცესმა“ ცხადყო, თუ რა აშკარად თელავს სამხრეთ აფრიკის რეჟიმი მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს. ასობით აფრიკელი გაუსამართლებლად დაშუყდეულია საპყრობილეებში. ბევრმა რეპრესიულმა კანონმა, თქვა ინდოეთის წარმომადგენელმა, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა 13 მილიონი არათეთრკანიანი მოსახლეობისათვის გადააქცია ხაცისტურ საკონცენტრაციო ბანაკად. თუ საბჭო დაუყოვნებლივ არ გამოიყენებს ეკონომიურ სანქციებს, მერე მეტად გვიან იქნება.

სიერა-ლეონეს საგარეო საქმეთა მინისტრმა როჯერს-რაიტმა აღნიშნა: აფრიკის 34 დამოუკიდებელი სახელმწიფო მოელის, რომ საბჭო გარდა ეკონომიური სანქციების გამოყენებისა, გადაარჩენს აფრიკელ ხელმძღვანელებს რომლებსაც სიკვდილი ემუქრებათ აპარტეიდის პოლიტიკისადმი წინააღმდეგობისათვის.

მაროკოს წარმომადგენელმა ბენჰიმამ მაროკოსა და სპილოს ძვლის ნაპირის სახელით შეიტანა პროექტი რეზოლუციისა, რომელიც მოითხოვს, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობამ გაათავისუფლოს სსმი აფრიკელი ხელმძღვანელი, რომლებსაც სიკვდილი აქვთ მისჯილი, და შეწყვიტოს ნელსონ მანდელასა და სხვა აფრიკელი ეროვნული ხელმძღვანელების გასამართლება, აგრეთვე გაათავისუფლოს ყველა პოლიტიკური პატიმარი, რომლებიც დაიპატიმრეს რასისტული პოლიტიკისადმი წინააღმდეგობისათვის. ბენჰიმამ აღნიშნა, რომ ამ რეზოლუციის მიღების შემდეგ საბჭო შეძლებს განაგრძოს მთელი პრობლემის განხილვა.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ნ. ტ. ფედორენკომ მხარი დაუჭირა რეზოლუციის პროექტს, საბჭოთა ადამიანები, თქვა მან, დიდად არიან შეშფოთებული და აღშფოთებული რეპრესიების გამო, რასაც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში მიმართავენ, და იზიარებენ აფრიკის ხალხთა შეშფოთებას სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის აფრიკელ ეროვნულ ხელმძღვანელთა ბედისათვის. გამოსატა რა ეს გრძნობები, თქვა მან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა დეპეშაში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტ სვარტისადმი მოუწოდა მას გაათავისუფლოს სიკვდილის განაჩენი, რაც სამ აფრიკელ ლიდერს გამოეტანეს.

ᲐᲠᲚᲝᲕᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲝᲢᲔᲜᲪᲘᲐ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 9 ივნისი. საკდესის კორესპონდენტი **ვ. პეტრუსენკო** იტყობინება:

უკანასკნელი დღეების ამბებმა გამოამჟღავნეს ნამდვილი ხასიათი პეტგოონის მოქმედებისა ლაოსში. ეს მოქმედება, ვაშინგტონის ჟურნალისტთა წრეების საერთო აზრით, იძას ნიშნავს, რომ შეერთებული შტატები უხეშად აღავლენენ ჟენევის შეთანხმებებს ლაოსის შესახებ, რომლებსაც ხელს აწერს ამერიკის წარმომადგენელი.

როგორც გუშინ დ ე ლ პრეს-კონფერენციაზე აღიარა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა პრესის საკითხებში რიჩარდ ფილიპსმ, გუშინდელი დღიდან ლაოსში დაფრინავენ ამერიკის ავიაგამანადგურებლები, რომლებიც თან ახლავენ ამერიკის მზვერავ თვითმფრინავებს. ამერიკის სამხედრო მზვერავი თვითმფრინავების ფრენაც კი ეუნეკვის შეთანხმებათა აშკარა დარღვევაა. როცა პატეტლაოს პატრიოტულმა ძალებმა წარსულ შაბათს სურების ხეობაში ჩამოაგდეს ამერიკის მზვერავი თვითმფრინავი, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ეს შემთხვევა იმის საბაბად გამოიყენეს, რომ ბრძანება მიეცათ თავიანთი რეაქტიული ავიაგამანადგურებლებისათვის „თან ახლდნენ“ საჰაერო ჯაშუშებს. შეიძლება ექვი არ ვიქმნიოთ, წერს საგაზეთო გაერთიანების „სკრიპს-ჰოვარდის“ კორესპონდენტი შეკფოოდ, რომ ავიაგამანადგურებლები მარტო იმისათვის როდი იფრენენ, რომ მფრინავები „პეიზაჟით დატკბნენ“.

ᲡᲘᲠᲘᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲑᲝᲘᲙᲝᲢᲘ

სირიის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ბოიკოტი გამოუცხადოს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას. სირია სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში არავითარ საქონელს არ შეიტანს.

ᲐᲠᲚᲝᲕᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ

დელი, 9 ივნისი. (საკდესი). დღეს ლალ ბაჰადურ შასტრიმ ინდოეთის პრეზიდენტს რადჰაკრიშნანს წარუდგინა ახალი მთავრობის წევრთა სია.

კაბინეტის შემადგენლობაში შევიდნენ: ლალ ბაჰადურ შასტრი — პრემიერ-მინისტრი, საგარეო საქმეთა მინისტრი. იგი იქნება აგრეთვე ატომური ენერგიის კომისიის მეთაური. გულზარილალ ნანდა — შინაგან საქმეთა მინისტრი, ტირუვალურ კრიშნამჩარი — ფინანსთა მინისტრი, ინდირა განდი — ინფორმაციისა და რადიომაუწყებლობის მინისტრი, სვარან სინგჰი — მრეწველობისა და მძიმე მანქანათმშენებლობის მინისტრი, სადაშივ კანოჯი პატილი — რკინიგზის ტრანსპორტის მინისტრი, აშოკა კუმარ სენი — იუსტიციისა და კავშირგაბმულობის მინისტრი, იაშვანტ ბალვანტრაო ჩავანი — თავდაცვის მინისტრი, სანჯივა რედი — ფოლადისა და წიაღისეულის მინისტრი, კ. სუბრამანიამი.—სურსათისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი, ჰუმაიუნ კაბირი—ნავთობისა და ქიმიური ნედლეულის მინისტრი, სათია ნარაიან სინჰა — საპარლამენტო საქმეთა და სამოქალაქო ავიაციის მინისტრი, ჰ. ს. დასაპა — ირიგაციისა და ენერგეტიკის მინისტრი, მოჰამედ ალი ქერიმ ჩაგლა — განათლების მინისტრი, დამოდარამ სანჯივაია — შრომის მინისტრი, მაჰავირ ტიაგი — ლტოლვილების საქმეთა მინისტრი.

გარდა ამისა, ახალი მთავრობის შემადგენლობაში შევიდა აგრეთვე 15 სახელმწიფო მინისტრი.

დელი, 9 ივნისი. (საკდესი). თანახმად კომუნიკესი, რომელიც პრეზიდენტის სასახლეშ გამოაქვეყნა პრეზიდენტმა რადჰაკრიშნანმა ოფიციალურად დაამტკიცა ინდოეთის პრემიერ-მინისტრად ლალ ბაჰადურ შასტრი. პრეზიდენტმა მოიწონა ახალი მთავრობის შემადგენლობა, რომელიც პრემიერ-მინისტრმა წარუდგინა, და შესაბამისად დანიშნა კაბინეტის წევრები და სახელმწიფო მინისტრები.

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲤᲘᲪᲘ

დელი, 9 ივნისი. (საკდესი). ფიცი დადო მთავრობის ყველა წევრმა, გარდა ინდირა განდისა და ლაქშმი მენონისა, რომლებიც მოგვიანებით დადებენ ფიცს.

ᲡᲐᲒᲠᲫᲝᲚᲝᲓ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲒᲐᲛᲖᲐᲓᲔᲒᲣᲚᲘ

პარიზი, 9 ივნისი. (საკდესი). იმოწმებს რა საბერძნეთის მთავრობასთან ახლომდგომ წრეებს ფრანს-პრესის საააგენტოს კორესპონდენტი ათენიდან იუწყება რომ საბერძნეთის შეიარაღებული ძალები საბრძოლოდ არიან გამზადებული, რათა ყოველ მომენტში წინააღეფდნენ თურქეთის ყოველგვარ შემოჭრას კვიპროსში.

ᲐᲠᲚᲝᲕᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 9 ივნისი. (საკდესი). ინდოეთის ელჩმა ვაშინგტონში ლ. ჯ. ჯაჰა ინფორმაციის მინისტრ ფ. ბ. ბოლს ინფორმაცია მიაწოდა ინდოეთის ახალ მთავრობასა და ინდოეთ-ამერიკის ურთიერთობათა ზოგადი ხასიათის შესახებ.

ᲐᲠᲚᲝᲕᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲤᲘᲪᲘ

დელი, 9 ივნისი. (საკდესი). ინდოეთის ახალ მთავრობის ფიცი. ფიცი დადო მთავრობის ყველა წევრმა, გარდა ინდირა განდისა და ლაქშმი მენონისა, რომლებიც მოგვიანებით დადებენ ფიცს.

ᲛᲒᲖᲜᲔᲑᲐᲠᲔ ᲞᲝᲔᲢᲘ—ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ

ᲙᲐᲝᲚᲝ ᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 70 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

კაოლო იაშვილმა მეტეორივით გაიკვალა ახალი ქართული პოეზიის ცაზე და თვალმომჭრელი კვალიც დატოვა. მზისა და გაზაფხულის, სიკეთისა და ადამიანობის ტრფიალი, ღრმაგრძნობიერი და ჰუმანური გულით დაჯილდოებული პოეტი მოწყურებული იყო სიცოცხლის მრავალფეროვნებასა და სიხარულს, მის ნექტარს. ბობოქარი, ჭეშმარიტი მოქალაქე, გატაცებული მიჯნური თავისი ქვეყნისა, კეთილშობილების შეზოტბე, მეგობრობის მომღერალი, ელვარე სიტყვის პატრონი და ნათელი ოპტიმიზმის მქადაგებელი — მუდამ ასეთი იყო პაოლო იაშვილი.

სად არ შეხვდებოდით, რომელ შეკრებულობას არ ხიბლავდა მისი მჭევრმეტყველება, რომელ ტრიბუნას არ სწვდებო

ეს ჩვენ, ყველა ერთად ვსწავლობთ!

ცნობათა კუთხე

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრო

აცხადებს მიღებას ასპირანტურაში 1964 წლისათვის

I. **მებაღეობის, მევენახეობის და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში** (დიღომი);

დასწრებულ სწავლებაზე: მიკრობიოლოგიაში — 1, მცენარეთა ფიზიოლოგიაში — 1 და ციტოლოგიაში — 1.

დაუსწრებელ სწავლებაზე — გენეტიკაში — 1, მეხილეობაში — 1, მევენახეობაში — 1, აგროქიმიაში — 1 და ნიადაგმცოდნეობაში —1.

II. **მიწათმოქმედების სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში** (მცხეთა, საგურამო);

დასწრებულ სწავლებაზე: მემცენარეობაში — 1.

დაუსწრებელ სწავლებაზე: მემცენარეობაში — 1 და ბიოქიმიაში —1.

III. **ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიის და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში** (თბილისი, ზოია რუხაძის ქ. № 1)

დასწრებულ სწავლებაზე: რადიობიოლოგიაში — 1, ნიადაგმცოდნეობაში (ნიადაგის მიკრობიოლოგიაში) — 1, აგროქიმიაში — 1.

დაუსწრებელ სწავლებაზე: აგროქიმიაში — 1.

IV. **მცენარეთა დაცვის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში** (თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. № 17)

დასწრებულ სწავლებაზე: ვირუსოლოგიაში — 1, ბიოქიმიაში — 1, ფიტოპათოლოგიაში — 1 და სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაციაში — 1.

დაუსწრებელ სწავლებაზე: ფიტოპათოლოგიაში — 1 და სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაციაში — 2.

V. **სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში** (თბილისი, ა. წერეთლის პრ. № 56).

დასწრებულ სწავლებაზე: სასოფლო-სამეურნეო მანქანებში — 3, ავტომობილებსა და ტრაქტორებში — 1, სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაციაში — 2 და სოფლის მეურნეობის წარმოების ელექტროფიკაციაში — 2.

დაუსწრებელ სწავლებაზე: სასოფლო-სამეურნეო მანქანებში — 2 სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაციაში — 3 და სოფლის მეურნეობის წარმოების ელექტროფიკაციაში — 2.

ასპირანტურაში შემსვლელნი საკონკურსო გამოცდებს აბარებენ: სპეციალობაში, სკკპ ისტორიაში და ერთ-ერთ უცხო ენაში. მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ასპირანტურაში შემსვლელთა გარდა ყველა დასახელებული ინსტიტუტის ასპირანტურაში შემსვლელთათვის მისაღები გამოცდები უცხო ენასა და სკკპ ისტორიაში იწარმოებს მცენარეთა დაცვის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში (თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი № 17), ხოლო სპეციალობაში შესაბამის ინსტიტუტებში.

შემსვლელთათვის სავალდებულოა უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობის სტაჟი არანაკლებ ორი წლისა, არჩეული სპეციალობის მიხედვით.

ასპირანტურაში მიიღებიან მოქალაქენი: დასწრებულ სწავლებაზე — არაუმეტეს 35 და დაუსწრებელზე — არაუმეტეს 45 წლისა.

განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტები: 1. კადრების აღრიცხვის ფურცელი ფოტოსურათით და ავტობიოგრაფია, 2. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის დამოწმებული პირი, 3. დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, 4. დოკუმენტი მუშაობის სტაჟის შესახებ, 5. გამოქვეყნებული შრომების სია ან გამოგონების საავტორო მოწმობა. ვისაც არა აქვს გამოქვეყნებული მეცნიერული შრომები ან საავტორო მოწმობები, ისინი ადგენენ რეფერატს არჩეული სპეციალობის მიხედვით. 6. ინსტიტუტის საბჭოს სხდომის ოქმის ამოხაწერი იმ პირებმა, რომლებსაც რეკომენდაცია ეძლევათ ინსტიტუტის დამთავრებისთანავე ასპირანტურაში შესასვლელად.

განცხადებები მიიღება 1964 წლის 20 აგვისტომდე. **მისაღები გამოცდები** 1964 წლის 1 სექტემბრიდან 15 სექტემბრამდე.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის

ქ. თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას დღის და საღამოს განყოფილებებზე პირველ კურსზე 1964-65 სასწავლო წლისათვის

დღის განყოფილებაზე მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან მოქალაქენი 18-დან 30-მდე წლის ასაკისა, **რომლებსაც აქვთ 8-10 კლასის განათლება, დაამთავრეს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი და აქვთ სულ მცირე ორი წლის საწარმოო სტაჟი.** გამოცდებზე დაიშვებიან აგრეთვე **წარმოების მუშები,** რომლებსაც შესასწავლ სპეციალობაში აქვთ სულ მცირე სამი წლის საწარმოო სტაჟი.

დღის განყოფილება ამზადებს ტექნიკოსებს — საწარმოო სწავლების ოსტატებს შემდეგი სპეციალობით:

ლითონების ჭრით დამუშავება — დაიშვებიან ხარატები არანაკლებ მესამე თანრიგისა; სამრეწველო მოწყობილობის მონტაჟი და შეკეთება — დაიშვებიან სამრეწველო მოწყობილობის ამწყობი და შემკეთებელი ზეინკლები არანაკლებ მესამე თანრიგისა; სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა — დაიშვებიან დურგლები და შემლესავები არანაკლებ მესამე თანრიგისა; რადიოაპარატმშენებლობა;

საღამოს განყოფილება ამზადებს ტექნიკოსებს რადიოაპარატმშენებლობის სპეციალობით.

საღამოს განყოფილების მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან მოქალაქენი 18 წლის ასაკიდან, რომლებსაც აქვთ სულ მცირე 8 კლასის განათლება და მუშაობენ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში. **ჩარიცხვისას უპირატესობა ეძლევათ პროფტექნიკური განათლების სასწავლებლების კურსდამთავრებულთა.**

ტექნიკუმში მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში: 1. **ქართულ ენაში** (წერა), 2. **მათემატიკაში** (წერა, ზეპირი), 3. **სპეციალობაში** (მესამე თანრიგის საკვალიფიკაციო სიხჯი; აბარებენ მხოლოდ დღის განყოფილებაზე შემსვლელნი).

ტექნიკუმში შემსვლელმა დირექტორის სახელზე უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები: 1. განცხადება, 2. არასრული საშუალო სკოლის დამთავრების მოწმობა — დედანი, 3. ატესტატი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შესახებ, 4. საწარმოო დახასიათება, 5. ავტობიოგრაფია, 6. სამი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ, ზომით 3×4 სმ), 7. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286), 8. შრომის სიის ამონაწერი დამოწმებული დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ, 9. ცნობა მუშაობის შესახებ (ადგენენ საღამოს განყოფილებაზე შემსვლელნი), 10. ცნობა საცხოვრებელი ადგილის შესახებ, 11. დაბადების მოწმობა, 12 ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ (ადგენს გამოცდებზე გამოცხადების დროს).

საბუთები მიიღება 31 ივლისამდე.

ტექნიკუმში შემსვლელთათვის გახსნილია მოსამზადებელი კურსები. კურსებზე მუშაობა დაიწყო 10 აპრილს ტექნიკუმის შენობაში.

მისაღები გამოცდები მოეწყობა 1 აგვისტოდან 15 აგვისტომდე პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ინდუსტრიულ ტექნიკუმში (ორჯონიკიძის ქ. № 49, ტელ. № 5-15-51).

ტექნიკუმში დღის განყოფილებაზე ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან უფასო კვებით, ტანსაცმლით და სტიპენდიით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის

ჩაის მრეწველობის ზუგდიდის ტექნიკუმი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1964-65 სასწავლო წლისათვის

დღის განყოფილებაზე, ჩაის ტექნოლოგიის და **სოფლისა და სატყეო მეურნეობის მექანიზაციის** სპეციალობაზე, სულ მიღებული იქნება 55 მსმენელი, მათ შორის: I **კურსზე** — სოფლისა და სატყეო მეურნეობის მექანიზაციის განყოფილებაზე 30. და **III კურსზე** — ჩაის ტექნოლოგიის სპეციალობით 25 მსმენელი.

ტექნიკუმი ამზადებს **ტექნიკოს-ტექნოლოგებს** ჩაის ფაბრიკებისათვის და **ტექნიკოს-მექანიკოსებს** სოფლის და სატყეო მეურნეობებისათვის.

ტექნიკუმში სწავლების ვადა იმ პირთათვის, რომლებიც I კურსზე შედიან, **4 წელიწადი და 5 თვე,** ხოლო საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთათვის, რომლებიც შედიან III კურსზე, **2 წელიწადი და 6 თვე.**

ტექნიკუმში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 30 წლის ასაკამდე.

განცხადებები მიიღება 1 ივლისიდან 31 ივლისამდე. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1. **განათლების მოწმობა** (დედანი), 2) **დაბადების მოწმობა**—პირი ნოტარიუსის მიერ შემოწმებული, 3. **ავტობიოგრაფია, 4. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ** (ფ. № 286), 5. **სამი ცალი ფოტოსურათი** (ზომით 3×4 გადაღებული უქუდოდ და შემოწმებული), 6) **ამონაწერი შრომის ან საკოლმეურნეო წიგნაკიდან** ორი და მეტი წლის სტაჟის მქონე პირთათვის, რომლებიც სწავლის დაწყებისას ტექნიკუმში წარმოადგენენ სტაჟის დამადასტურებელი საბუთის დედანს, 7. **ფორმა № 1** იმ პირებისაგან, რომლებიც მიღებული იქნებიან ჩაის ფაბრიკების, სოფლისა და სატყეო მეურნეობების მიერ.

ტექნიკუმში გამოცხადებისას შემომსვლელი პირადად წარმოადგენს დაბადების მოწმობას ან პასპორტს, სამხედროვალდებულნი კი სამხედრო ბილეთს (წვევამდელი წარმოადგენს მიწერის მოწმობას).

მისაღები გამოცდები 1-დან 20 აგვისტომდე შემდეგ საგნებში: I **კურსზე** შემომსვლელთათვის: ა) **ქართულ ენაში** (წერა), **მათემატიკაში** (წერა და ზეპირი); **საშუალო** სკოლის კურსდამთავრებულთათვის: ა) **ქართულში** (წერა — თხზულება), ბ) **მათემატიკაში** (ზეპირი), გ) **ქიმიაში** (ზეპირი).

მისაღები გამოცდების წარმატებით ჩაბარებისას **ტექნიკუმში ჩარიცხვის უპირატესი** უფლებით სარგებლობენ საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებული 2 და მეტი წლის პრაქტიკული მუშაობის სტაჟის მქონე პირები.

კონკურსის შედეგების შეჯამებისას **მხედველობაში იქნება მიღებული,** როგორც მისაღები **გამოცდების შედეგები,** ისე **განათლების დოკუმენტში ნაჩვენები ნიშნები.**

ტექნიკუმში ჩარიცხვა იწარმოებს 21-დან 25 აგვისტომდე.

ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით და საერთო საცხოვრებლით, საერთო წესის მიხედვით.

ტექნიკუმის მისამართი: ზუგდიდი — ინგირის ჩაის **საბჭოთა მეურნეობა-ფაბრიკა.** ჩაის მრეწველობის ზუგდიდის **ტექნიკუმი.**

დირექცია.



საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი

აცხადებს კონკურსს

განყოფილების და ლაბორატორიების გამგეების საშტატო თანამდებობის დასაკავებლად:

ავტომატიზაციის და მექანიზაციის განყოფილების გამგე,
ბიოფიზიკის განყოფილების გამგე,
მაღალი სიხშირის დენების ლაბორატორიის გამგე,
დანერგვის ლაბორატორიის გამგე,

უფროსი მეცნიერ თანამშრომლების საშტატო თანამდებობის დასაკავებლად:

ღვინის მრეწველობის განყოფილებაში	2 ადგილი
ნედლეულის რესურსების განყოფილებაში	2 — „ —
ბიოქიმიის ლაბორატორიაში	2 — „ —
რძის მრეწველობის განყოფილებაში	2 — „ —
ეთერზეთების მრეწველობის განყოფილებაში	2 — „ —
ავტომატიზაციისა და მექანიზაციის განყოფილებაში	1 — „ —
პურის მრეწველობის განყოფილებაში	1 — „ —
ტექნიკურ-ქიმიური კონტროლის განყოფილებაში	1 — „ —
ეკონომიკის და წარმოების ორგანიზაციის განყოფილებაში	1 — „ —
ინსტიტუტის სწავლული მდივანი	1 — „ —

ინსტიტუტის ბათუმის ფილიალში შემდეგი საშტატო თანამდებობების დასაკავებლად:

ტექნოლოგიური განყოფილების გამგე,
ბიოქიმიის ლაბორატორიის გამგე,
ტექნოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი — 4 ადგილი.

ინსტიტუტის ქუთაისის ფილიალში შემდეგი საშტატო თანამდებობების დასაკავებლად:

ტექნოლოგიური განყოფილების გამგე,
მიკრობიოლოგიის ლაბორატორიის გამგე,
ტექნიკურ-ქიმიური კონტროლის განყოფილების გამგე,
მიკრობიოლოგიის ლაბორატორიაში უფროსი მეცნიერ თანამშრომელი — 1 ადგილი
ტექნიკურ-ქიმიური კონტროლის განყოფ. უფროსი მეცნიერი თანამშრომელი 1 — „ —
ტექნოლოგიური განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი 2 — „ —

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მეცნიერებათა დოქტორებს, კანდიდატებს, აგრეთვე მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს, რომლებსაც აქვთ წარმოებაში მუშაობის დიდი გამოცდილება.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა განცხადება უნდა შეიტანოს ინსტიტუტის დირექტორის სახელზე და ამავე დროს წერილობით აცნობოს ეს დაწესებულების ხელმძღვანელს, სადაც ამჟამად მუშაობს.

განცხადებას უნდა დაერთოს: კადრების აღრიცხვის პირადი ბარათი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლების სათანადოდ შემოწმებული პირი, სამეცნიერო წოდებასა და ხარისხში დამტკიცების სპეციალური სათანადოდ შემოწმებული პირები, დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, სამეცნიერო შრომების სია და რეცენზიები მათ შესახებ.

კონკურსის ვადაა ერთი თვე ამ განცხადების გამოქვეყნებიდან.

ცნობებისათვის მიმართეთ: ქ. თბილისი, ჯავჯალის გზატკეცილი № 17, საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი.

საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ფლოტის სამმართველო

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას სამოქალაქო საჰაერო ფლოტის საფრენოსნო და ტექნიკურ სასწავლებლებში, რომლებიც ამზადებენ მფრინავებს, შტურმანებს, ავიატექნიკოსებს და რადიოელექტრო და ხელსაწყოების ტექნიკოსებს.

სასწავლებლებში მიიღებიან საშუალო განათლების მამრობითი სქესის პირები 17-დან 22 წლამდე ასაკისა — საფრენოსნოში და 17 წლიდან 26 წლამდე ასაკისა ტექნიკურში — სათანადო სამედიცინო შემოწმების გავლის შემდეგ.

განცხადებების და საბუთების შიღება და სამედიცინო შემოწმება წარმოებს მიმღებ კომისიაში ქალაქ თბილისში 1 ივნისიდან 31 ივლისამდე ჩათვლით.

მისაღები გამოცდები იწარმოებს რუსულ ენაზე 1-დან 7 აგვისტომდე შემდეგ საგნებში: რუსულ ენაში (წერა), მათემატიკაში (წერა ზეპირი).

სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს. კურსანტები უზრუნველყოფილ იქნებიან ტანსაცმლით, კვებით, საერთო საცხოვრებლით და სტიპენდიით.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მიმღებ კომისიას (კადრების განყოფილება).

მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 28, ტელ. № 9-74-80, 3-01-44.

მიმღები კომისია

დისერტაციების დაცვა

სახელმწიფო უნივერსიტეტი

(ი. ჭავჭავაძის პრ. № 3).

30 ივნისს, დღის 2 საათზე, ფიზიკის დიდ აუდიტორიაში ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ნანი ნიკოლოზის ასული ჩიქოვანი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„CdS —მონოკრისტალების შთანთქმისა და ფოტოგამტარებლობის სპექტრალური შესწავლა 300°K, 17°K და 20°K ტემპერატურაზე“.**

30 ივნისს, დღის 3 საათზე, ფიზიკის დიდ აუდიტორიაში ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ლეონიდე სიმონის-ძე ჭოტორლიშვილი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„თოვლით დფარული ნიადაგების და თოვლის საბურველის თერმული რეჟიმი“.**

დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს

გაკურციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დირექცია

აცხადებს 1964-65 სასწავლო წლისათვის მოსწავლეთა მიღებას

ტექნიკუმში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 30 წლის ასაკამდე.

ტექნიკუმი ამზადებს **აგროქიმიკოსებს, ბუხგალტრებს, მევენახე-მეხილეს აგრონომებს** და **მეფუტკრე ზოოტექნიკოსებს.**

ტექნიკუმში სწავლის პერიოდში **მოსწავლეები მიიღებენ დამატებით ტრაქტორისტის, კომბაინერის** და **ავტომოყვარულის პროფესიას.**

ტექნიკუმში მიიღებიან **არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი** (7-8 კლასი) აგროქიმიურ, მევენახე-მეხილეობის და მეფუტკრეობის პროფილის I კურსებზე, ხოლო **საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი** (10-11 კლასი) საბუხგალტრო აღრიცხვის პროფილის III კურსზე.

არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი გამოცდებს აბარებენ არასრული საშუალო სკოლის პროგრამით: **ქართულ ენაში** (წერა კარნახით) **მათემატიკაში** (წერა და ზეპირი).

საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი გამოცდებს აბარებენ საშუალო სკოლის პროგრამით: **ქართულ ენაში** (წერა თხზულებით), **მათემატიკაში** (ზეპირი), **ქიმიაში** (ზეპირი).

კონკურსგარეშე პირველ რიგში ჩაირიცხებიან ის პირნი, რომლებიც წარმატებით ჩაბარებენ მისაღებ გამოცდებს და მოვლინებული არიან სწავლისათვის შესაბამისი ორგანიზაციის ან წარმოების მიერ მუშაობის სულ მცირე ორი წლის სტაჟით.

კონკურსგარეშე ჩაირიცხებიან ის პირნი, **რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ მისაღებ გამოცდებს** და **აქვთ პრაქტიკული მუშაობის** სულ მცირე **ორი წლის სტაჟი,** აგრეთვე **დიდი სამამულო ომის მონაწილენი** და **საბჭოთა არმიიდან დემობილიზებულნი.** დანარჩენ ადგილებზე **ჩარიცხვა იწარმოებს კონკურსის წესით.**

განცხადებები მიიღება ტექნიკუმის დირექტორის სახელზე. **განცხადებას თან უნდა დაერთოს:** 1. განათლების მოწმობა (დედანი) ან ცნობა 9-10-11 კლასში გადასვლის შესახებ; 2. ავტობიოგრაფია; 3. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286); 4. სამი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ, ზომა 3×4); 5. ორგანიზაციებისა და საწარმოების მომართვა სასწავლებელში მოვლინებაზე (მოვლინებულთათვის); 6. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან ან კოლმეურნეობის წიგნაკიდან ხელმძღვანელის მიერ შემოწმებული (მუშაობის სტაჟის მქონეთათვის); 7. დაბადების მოწმობა ან პასპორტი, სამხედრო წიგნაკი ან მიწერის მოწმობა (უნდა წარმოადგინოს პირადად).

განცხადებები მიიღება 31 ივლისამდე. მისაღები გამოცდები 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე, ჩარიცხვა 20 აგვისტოდან 25 აგვისტომდე.

ტექნიკუმში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით და მიეცემათ სტიპენდია საერთო წესით.

მისამართი: გურჯაანის რაიონი, ბაკურციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს

გაკურციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დირექცია

აცხადებს 1964-65 სასწავლო წლისათვის მოსწავლეთა მიღებას

ტექნიკუმში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 30 წლის ასაკამდე.

ტექნიკუმი ამზადებს **აგროქიმიკოსებს, ბუხგალტრებს, მევენახე-მეხილეს** და **მეფუტკრეს ზოოტექნიკოსებს.**

ტექნიკუმში სწავლის პერიოდში **მოსწავლეები მიიღებენ დამატებით ტრაქტორისტის, კომბაინერის** და **ავტომოყვარულის პროფესიას.**

ტექნიკუმში მიიღებიან **არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი** (7-8 კლასი) აგროქიმიურ, მევენახე-მეხილეობის და მეფუტკრეობის პროფილის I კურსებზე, ხოლო **საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი** (10-11 კლასი) საბუხგალტრო აღრიცხვის პროფილის III კურსზე.

არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი გამოცდებს აბარებენ **ქართულ ენაში** (წერა კარნახით) **მათემატიკაში** (წერა და ზეპირი).

საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი გამოცდებს აბარებენ **ქართულ ენაში** (წერა თხზულებით), **მათემატიკაში** (ზეპირი), **ქიმიაში** (ზეპირი).

კონკურსგარეშე პირველ რიგში ჩაირიცხებიან ის პირნი, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ მისაღებ გამოცდებს და **მოვლინებული** არიან **სწავლისათვის** შესაბამისი **ორგანიზაციის** ან **წარმოების** მიერ **მუშაობის** სულ **მცირე ორი** წლის სტაჟით.

კონკურსგარეშე ჩაირიცხებიან ის პირნი, **რომლებიც** **წარმატებით ჩააბარებენ** მისაღებ **გამოცდებს** და **აქვთ** **პრაქტიკული** **მუშაობის** სულ **მცირე ორი წლის** სტაჟი, აგრეთვე **დიდი** სამამულო **ომის მონაწილენი** და **საბჭოთა** **არმიიდან** **დემობილიზებულნი.** დანარჩენ **ადგილებზე** **ჩარიცხვა** **იწარმოებს** **კონკურსის** **წესით.**

განცხადებები მიიღება ტექნიკუმის დირექტორის სახელზე. **განცხადებას თან უნდა დაერთოს:** 1. განათლების მოწმობა (დედანი) ან ცნობა 9-10-11 კლასში გადასვლის შესახებ; 2. ავტობიოგრაფია; 3. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286); 4. სამი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ, ზომა 3×4); 5. ორგანიზაციებისა და საწარმოების მომართვა სასწავლებელში მოვლინებაზე (მოვლინებულთათვის); 6. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან ან კოლმეურნეობის წიგნაკიდან ხელმძღვანელის მიერ შემოწმებული (მუშაობის სტაჟის მქონეთათვის); 7. დაბადების მოწმობა ან პასპორტი, სამხედრო წიგნაკი ან მიწერის მოწმობა (უნდა წარმოადგინოს პირადად).

განცხადებები მიიღება 31 ივლისამდე. მისაღები გამოცდები 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე, ჩარიცხვა 20 აგვისტოდან 25 აგვისტომდე.

ტექნიკუმში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით და მიეცემათ სტიპენდია საერთო წესით.

მისამართი: გურჯაანის რაიონი, ბაკურციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს

თბილისის ფარმაცევტული სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1964-65 სასწავლო წლისათვის ქართული სექტორის III კურსზე

სასწავლებელში მიიღებიან სრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებული 30 წლამდე ასაკის მოქალაქენი, რომლებიც აბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში: 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), 2. მათემატიკაში (ზეპირი), 3. ქიმიაში (ზეპირი).

სწავლის ხანგრძლივობა 2 წელი და 6 თვე.

სასწავლებელში შემსვლელს პირადად შემოაქვს განცხადება დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით: 1. განათლების მოწმობა (დედანი), 2. ავტობიოგრაფია, 3. სამი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ ზომით 3×4 სმ.), 4. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286, გაცემული საცხოვრებელი ადგილის მიხედვით), 5. პირადად წარმოდგენილ უნდა იქნას დაბადების მოწმობა ან პასპორტი, სამხედრო ბილეთი (სამხედრო ვალდებულთათვის) და მიწერის მოწმობა (წვევამდელთათვის), 6. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (იმ პირთათვის, რომლებსაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სულ მცირე ორი წლის სტაჟი), შემოწმებული დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ, კოლმეურნეობის წევრებისათვის — ამონაწერი საკოლმეურნეო წიგნაკიდან, შემოწმებული კოლმეურნეობის გამგეობის მიერ, სადაც აღნიშნული იქნება კოლმეურნეებისათვის დადგენილი შრომადღეების მინიმუმის შესრულება ცალკეული კალენდარული წლების მიხედვით.

მისაღები გამოცდების შედეგად სასწავლებელში ჩარიცხული სტაჟის მქონე პირები ეალდებული არიან 1 სექტემბრისათვის წარმოადგინონ შრომის ან საკოლმეურნეო წიგნაკის დედანი. წინააღმდეგ შემთხვევაში გარიცხული იქნებიან სასწავლებლიდან.

სასწავლებელში ჩარიცხული მოსწავლეები უზრუნველყოფილ იქნებიან სტიპენდიით არსებული წესის საფუძველზე.

საბუთები მიიღება 31 ივლისამდე საღამოს 6-დან 9 საათამდე, **მისაღები გამოცდები იწარმოებს** 1-დან 20 აგვისტომდე.

სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს. მეცადინეობა — საღამოს 4 საათიდან.

სასწავლებლის მისამართი: ქ. თბილისი, ქუთაისის ქ. № 20. ტელ. 5-05-45.

თბილისის კუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორატი

დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტის სტუდენტთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ 1964 წლის 25 ივნისიდან 29 ივლისამდე ქ. თბილისში მოეწყობა ზაფხულის სასწავლო-საგამოცდო სესია.

გასული სემესტრის აკადემიური დავალიანების დაუფარავად სტუდენტები ზაფხულის საგამოცდო სესიაზე არ დაიშვებიან.

სტუდენტები შესაბამის საგანში გამოცდაზე არ დაიშვებიან აგრეთვე საკონტროლო სამუშაოზე **დადებითი რეცენზიის უქონლად.**

სესიაზე გამოცხადებისას სტუდენტებმა უნდა წარმოადგინონ **ცნობა სამსახურის შესახებ,** გაცემული სათანადო უწყების მიერ (მასწავლებელმა — განათლების განყოფილებიდან).

სესიაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში სტუდენტებმა სათანადო საბუთის წარმოდგენით ეს უნდა აცნობონ ფაკულტეტის დეკანატს **მიმდინარე წლის 20 ივნისამდე. ლექციებზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის გამო სტუდენტები ზაფხულის საგამოცდო სესიაზე არ დაიშვებიან.**

რეგისტრაცია იწარმოებს 24 ივნისს, დღის 10 საათიდან 3 საათამდე, ინსტიტუტის შენობაში.

რა ვნახოთ, რა ვოვისმინოთ

თეატრი

10 ივნისი

ზ. ფალიაშვილის **სახელობის ოპერისა** და **ბალეტის სახელმწიფო აკადემიური** — ქიზელი, **რუსთაველის სახელობის დიდი დარბაზი** — სამგროშიანი ოპერა (უაბონემენტოდ), **მარჯანიშვილის სახელობის** — ჯარისკაცის ქვრივი (მე-4 აბონ. მე-7 წარმოდგენა), **გრიბოედოვის სახელობის** — მაშენკა (მე-4 აბონ. მე-9 წარმოდგენა).

კინო

10 ივნისი

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, **ამირანი** (საზაფხულო), ისანი (საზამთრო), საქართველო (წითელი დარბაზი), კოლხიდა (საზაფხულო), ბულბანოვის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო), გორკის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო და საზაფხულო), კიროვის სახელობის პარკი, კომუნარების ბაღი, გაზაფხული, კოსმოსი — **გასროლა ნისლში,** ამირანი (საზამთრო), სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი), საქართველო (მწვანე დარბაზი), ნაკადული, ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი — **ქალიშვილი ბანკიდან,** კომკავშირელი, 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი), კოლხიდა (საზამთრო), ოფიცერთა სახლი — **პარიზის საიდუმლოებანი,** ყაზბეგი (პირველი დარბაზი) — **სიყვარული სიმლაში** (I-II სერია), ყაზბეგი (მეორე დარბაზი) — **ოდისევსის მოგზაურობა,** კოლმეურნე — **სამშობლოს დაშორებით,** ისანი (საზაფხულო) თანამგზავრი, ვაკის პარკი — **რომეო, ჩემი მეზობელი,** 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო) — **ტრაგიკული ნადირობა,** თბილისი — **უგზოუკვლოდ დაკარგული.**

პირველი პროგრამით

08.30 — ნაწყვეტები ქართველ კომპოზიტორთა ოპერებიდან, 09.15 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები, 10.15 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 10.45 — ლოტი. საორკესტრო პრელუდია და ფუგა, 11.15 — კალინიკოვის მეორე სიმფონია, 12.15 — აფხაზეთის რადიოს გადაცემა, 12.30 — ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი, 17.15 — ვ. ახარაშვილი. სონატა ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის, 17.35 — გადაცემა მოსწავლეთათვის — ივანოვ-ლეონოვის მოთხრობა „ტეალას საიდუმლოება“, 18.10 — მუსიკალური რადიოვიქტორინა, 18.45 — სიმღერები ზ. დოლუხანოვასა და ს. ლემეშევის შესრულებით, 19.30 გადაცემა

რადიო

11 ივნისი

ტელევიზია

11 ივნისი

12.00 — კინონარკვევი „სამუდამოდ ერთად“, 12.20 — საბჭოთა კინოს ისტორიიდან — მხატვრული ფილმი „ჯულბარსი“, 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 „გამომშვიდობება საბავშვო ბაღთან“, 18.45 — კინონარკვევი „სამუდამოდ ერთად“, 19.05 — გადაცემა ციკლიდან „იცით თუ არა“?, 19.15 კინონარკვევი, 19.30 — სატელევიზიო რეკლამა, 19.35 — კინონარკვევი „მიცნობდეთ — მე გზა ვარ“, 19.45 — გადაცემა ციკლიდან „ახალი წიგნები“, 19.55 — კინონარკვევი „პოროროკოი“, 20.05— გადაცემა ციკლიდან — „დიდი ქალაქების მუსიკალური ცხოვრება“ — ალმა-ატა, 20.50 — საბჭოთა კინოს ისტორიიდან — მხატვრული ფილმი „ჯულბარსი“, 22.05 — ახალი ამბები.

რედაქტორი

დ. მჭედლიშვილი.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ КОМУНИСТИ И